# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 16 ნოემბერი, 2012 წელი.

№221 (7097)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## „პოლიტიკური ნიშნით არავის ვდევნით"... 5



## „სააკაშვილისგან განსხვავებით, ის დე გოლი იყო და პრეზიდენტობიდან გადადგა" 4

## 3 არშემდგარი „მარშალის გეგმა"...

## რუსეთი მზად არის, რომ განიხილოს ქართული ღვინის დაბრუნება 8

## ასე გვესახება წინსვლის გზა 7



## 6 როლანდ ახალაიას მიერ შეთითხნილი „სამართალი"

სარედაქციო ფოსტიდან

# ნუ ვაბაჩოახალაიებთ ცოტნე დადიანის წმინდა სახელს!..

**აწ უკვე სამუდამოდ ბექებზე დადებული, მაგრამ მაინც სამარცხვინოდ იხტიბარგაუტეხელი ნაციონალური მოძრაობის წევრები საშინელ ზნეობრივ კრიზისში არიან, რომლის დაძლევასაც ამაოდ ცდილობენ ათასგვარი საბოტაჟური თუ ავანტიურისტული ხერხებით, რაც კიდევ უფრო გამოუვალ და ხშირად ამაზრზენ მდგომარეობაში აყენებს ვითომ სამართლიანობისთვის ამბოხებულ თითოეულ ნაციონალს, თავის დროზე სამართლიანობის ტალახში ამომსვრელსა და ფეხქვეშ გამქელავს.**

თუ არა ამ ამაო მცდელობით, სხვანაირად რით უნდა ავხსნათ ხალხში ავსახელმორჭმული აკა მინაშვილის, ნუგზარ წიკლაურისა და თეა თუთბერიძის დღედაღამ ციხე-ციხე სირბილი და პროვოკაციულ-დემაგოგიური ყვირილი: მეოცნებენი პოლიტიკური ნიშნით იჭერენ სულით ხორცამდე პატიოსან ნაციონალებსო. ბაჩო ახალაია ირაკლი ალასანიას შურისძიების მსხვერპლიაო. რაკი ზუგდიდში როლანდ ახალაიასთან არჩევნები წააგო, ახლა ბაჩოზე იყრის ჯავრსო. არადა დღეს უკვე აშკარაა, თუ რა დონეზე გაყალბდა ზუგდიდში არჩევნები, და მალე, ალბათ, ესეც გამოძიების საგანი გახდება.



ვინ ვინ და ბაჩო ახალაია ნამდვილ ანტიგმირად მოევლინა თანამედროვე საქართველოს ასევე ანტიგმირ თავის ძმასთან ერთად. ასე რომ, ვითომ მაჟორიტარი როლანდ ახალაია, როგორც ორი ანტიგმირის მამა, პარლამენტში კი არა, საცა სამართალია, საერთოდ ხალხშიც არ უნდა ჩნდებოდეს. მაგრამ, როგორც ჩანს, დღევანდელ საქართველოში სინდის-ნამუსი ბევრს, უწინარესად კი ნაციონალებს, ბრმა ნაწლავივით ამოჭრილი აქვს.

თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენს ტელევიზიებს, თითქმის ყველას ერთნაირად, ბაჩო ახალაიაზე მეტი სალაპარაკო აღარ აქვთ. ბაჩო იმ ციხეშია, ბაჩო ამ ციხეშია, წუხელ ცუდად ეძინა, მადა ძველებური ვერა აქვთ, საწოლი ძალიან ხმელი უდგას, უფრო ფუმფულა ბალიში ეკუთვნისო...

მაგრამ მთელი ეს არცთუ სასაცილო ვაიკომედია მართლაც მასხარა ისტორიკოსმა სიმონ მასხარაშვილმა გადაფარა... თურმე რის პაატა სააკაძე და რის ცოტნე დადიანი, ჩვენი ისტორიის, განსაკუთრებით კი თანამედროვე ისტორიის, ნამდვილი გმირი მხოლოდ და მხოლოდ ბაჩო ყოფილა, რომელსაც ძირფესვიანად ამოუძირკვავს საქართველოში ქურდების სახსენებელი და ჯილდოდ ის მიუღია, რომ დღეს ციხეში სწორედ იმ ქურდების გვერდით ზის, და ისინი თურმე „ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენენ" ამ



თვით ცოტნე დადიანზე ბევრად უფრო მეტ ეროვნულ გმირზე!..

როლანდის ბიჭს გმირობად უთვლიან იმასაც, რომ ქვეყნიდან გაქცეული ზურაბ ადეიშვილისგან და დიმიტრი შაშკინისგან განსხვავებით (დათა ახალაიაც ამათ სიაშია), გაქცეული ბაჩო თავისი ფეხით დაბრუნდა (ამბობენ, ჩეჩნებისგან მოკვლის მუქარას გამოექცაო!) და მივიდა პროკურატურაში (ოღონდ, რასაკვირველია, თაფლწაუსმელად).

როგორ მოგწონთ, მეგობრებო, აწ დამარცხებული, მაგრამ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩადენილი, კარგი, „დიდებს" თავი დავანებოთ, ათასგვარი „პატარ-პატარა დანაშაულისა თუ ბოროტმოქმედების გამო ახლა კედელთან მიმწყვდეული ნაციონალების ლოგიკა?!

არ მოგწონთ, არა?! მეც ძალიან არ მომწონს, თანაც, საბოლოო ჯამში, საშიშადაც კი მიმაჩნია და სწორედ ამიტომაც გწერთ ამ ჩემს პატარა ბარათს, რომელსაც, ალბათ, ჩემსავით აღშფოთებული ურიცხვი ადამიანი მოაწერდა ხელს...

**ლუკა გვაზავა,**
**ქ.თბილისი.**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ხალხი ითხოვს

# იმედის თეთრი კარავი

**შებინდებულზე გამოვედი რედაქციიდან. მეტრო „რუსთაველის“ გვერდით სახელდახელოდ გაშლილ თეთრ კარავს მოვკარი თვალი. გამვლელებიც მრავლად იყვნენ. დღევანდელი „დაჭერების“ ფონზე, ვიფიქრე, ბაჩოს გასათავისუფლებელ პეტიციაზე ხელმოწერებს ხომ არ აგროვებენ-მეთქი, მაგრამ ჩემი გულუბრყვილო ნაფიქრალი უმალ მოქალაქეთა სიმრავლემ გააქარწყლა — ამდენი კაცი ბაჩოს მომხრე არ იქნებოდა. კარავს მივუახლოვდი. რამდენიმე ადამიანი მისჯდომოდა მაგიდას, დანარჩენები ხელმოწერის მოლოდინში რიგში იდგნენ.**

— რა ხდება? — ვკითხე ხანში შესულ ქალბატონს.

— პრეზიდენტის გადასადგომად ხელმოწერებს აგროვებენ.

აგაშენათ ღმერთმა, გავიფიქრე და რიგში ჩავდექი. პირადობის მოწმობა მომთხოვეს. დავრწუნდი, რომ ყველაფერი ჰაიჰარად კი არ ხდება, არამედ გააზრებულად და კანონის ფარგლებში. კარვის კუთხეში მაგიდასთან ქართული კინოს პატრიარქი ბატონი რეზო ჩხეიძე შევიცანი. მივესალმე და მოვიკითხე.

— ხომ მშვიდობაა, ბატონო რეზო?

— მშვიდობა რომ იყოს, შვილო, აქ მოვიდოდი?

გამეღიმა. ყოველთვის ხალხის გვერდით იდგა ოთხმოცს კარგა ხანია გადაცილებული ხელოვანი — არც ერთ მიტინგსა და მღელვარებას არ დაჰკლებია თავისი განუყრელი ხელჯოხით. მის დანახვაზე ახალგაზრდებს იმედი ემატებათ.

მეორე დილითაც ხალხმრავლობა იყო კარავთან. იქვე მჯდომ ქალბატონს ვკითხე (არამარტო ჟურნალისტური ინტერესით) — თუ მოგროვდა ხელმოწერები-მეთქი. არასამთავრობო ორგანიზაცია „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისთვის“ თავმჯდომარის მოადგილე იურიდიულ და სოციალურ საკითხებში ქალბატონი ნინო წინამძღვრიშვილი აღმოჩნდა.

— გუშინ შუადღეს დავდგით კარავი და დავიწყეთ ხელმოწერების შეგროვება. გუშინ მარტო შვიდასამდე კაცმა მოაწერა ხელი. დღესაც ბევრი მოვიდა. თორმეტიდან ცხრა საათამდე ვართ. მეტრო „დელისთან“ შეიძლება ხელმოწერები და, აგრეთვე, ჩვენი ორგანიზაციის ოფისში, პეკინის 34-ში, მესამე სართულზე.

— ქალბატონო ნინო, ვგონებ, ორი კარავი არ ეყოფა სააკაშვილის გადადგომას.

— ექვსას ლარზე მეტი დაჯდა ეს კარავი, მეტი სახსრები ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. ყველაფერი ხომ ფულზეა დამოკიდებული. ეს ჩვენი ინიციატივით ხდება და...

— მერია ხომ არ გიკრძალავთ კარვის დადგმას?

— ჯერჯერობით არ გამოჩენილან.

— გუშინ ბატონი რეზო ჩხეიძე ვნახე, სხვა ცნობილი პიროვნებები თუ მოდიან.

— ვინც გაიგო, მოდის.

* * *

**„საქართველოს კონსტიტუცია უგვანოდ და უმოწყალოდ არის დასახიჩრებული. ქართველ ერს წართმეული აქვს ნების გამოხატვის უფლება. ამიტომ ქართველი ერი და საზოგადოება ამ ხელმოწერებით ქმნის მორალურ კონსტიტუციას, რომელსაც გაითვალისწინებს მსოფლიოს საზოგადოება“. — წაწერილია თეთრ კარავზე.**

ამას დიდი ხანია ითხოვდა ქართველობა. დიდი ხანია ითხოვს პრეზიდენტის დაუყოვნებლივ გადადგომას, უფრო მეტიც, მან პასუხი უნდა აგოს იმ განუკითხაობაზე, შიშზე, ტერორზე, უკანონობაზე, რაც საქართველოში დანერგა და დააკანონა.

ამ მოთხოვნებს ხელი უკვე მოაწერეს ჭაბუა ამირეჯიბმა, გიგა ლორთქიფანიძემ და მარიკა ლორთქიფანიძემ, ნოდარ მგალობლიშვილმა, დავით ანდღულაძემ, ომარ მხეიძემ, მანუჩარ მაჩაიძემ, რევაზ ძოძუაშვილმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა და რეზო ამაშუკელმა, მამა როსტომმა, მამა ელიზბარმა... საქართველოს სათაყვანო შვილებმა, მწერლებმა, სპორტსმენებმა, ხელოვნების მუშაკებმა, იმათ, ვისიც სჯერათ და ვისიც სწამთ. ერთიანდება ერი და ბერი.

კარვის გარშემო იკრიბება ხალხი, ბჭობენ, იცინიან, გეგმებს აწყობენ. იმედის კარავი გაჩნდა თბილისში. ალბათ, **„ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის“** და მისი ხელმძღვანელი მიხეილ ანდღულაძე მთელ საქრთველოს გაუჩენენ იმედს.

კარვის მოშორებით მედოლე მათხოვარი ზის, უტყაპუნებს დოლზე. არც სმენა აქვს და არც ხმა, უბრალოდ ყურადღების მიქცევის ერთ-ერთ საშუალებად დოლი აურჩევია. მასაც იმედი აქვს. იქვეა თეთრწვერიანი აკორდეონისტიც. ეტყობა, პროფესიონალია. სევდიან კლასიკას ჭიმავს ძველ აკორდეონზე. გაჭირვებამ გამოიყვანა ქარიან დღეს. მასაც იმედი აქვს. გამვლელებში თამამად დაიარება „ვერელი ზანგი“ — თავისი დაზეპირებული „დამეხმარეთი“. ისიც ჩვენთან ეძებს იმედსა და თავის სარჩოს შორეული აფრიკიდან შემოკედლებული. მასაც იმედი აქვს.

იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა.

**მამუკა ვაშაკიძე**

მეზობელი

# საქართველო თანმიმდევრული, მაგრამ პრინციპული იქნება რუსეთთან მოლაპარაკებებში

**საქართველოს ახალ მთავრობას რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა სურს. როგორც „როიტერთან“ საუბარში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობებში ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, თბილისი იმედოვნებს, რომ ამას იმის სანაცვლოდ მიიღებს, რომ მეზობელი ქვეყნის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებაზე დათანხმდა.**

— საქართველომ თანხმობა განაცხადა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებაზე, რაც მარტივი გადაწყვეტილება არ იყო, მაგრამ ამას მოსკოვის მხრიდან პოზიტიური ნაბიჯები არ მოჰყოლია, — აცხადებს აბაშიძე.

აბაშიძემ 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს მონაწილეობის საკითხზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გაუმჯობესდება ურთიერთობები.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილის გასულ თვეში გაკეთებული განცხადება, რომ საქართველო მონაწილეობას მიიღებს სოჭის ოლიმპიურ თამაშებში, საბოლოო გადაწყვეტილება არ არის.

„ეს პოზიტიური სიგნალია რუსეთისთვის, მაგრამ არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო მზად არის რუსეთის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისთვის“ ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე ჩვენ პოლიტიკური სურათი უნდა გავარკვიოთ, — განაცხადა აბაშიძემ.

როგორც აბაშიძე აცხადებს, შესაძლებელია მოლაპარაკებების დაწყება და იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომელიც არ არის ეგრეთ წოდებული „წითელი ხაზის“ მიღმა, როგორიცაა, მაგალითად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება“, განუცხადა აბაშიძემ „როიტერს“.

მან ჩამოთვალა განსახილველი საკითხები: ქართული ღვინო, მი-



ნერალური წყალი და სხვა პროდუქტები, რომელთა იმპორტიც 2006 წელს მოსკოვმა აკრძალა. ღვინის და მინერალური წყლის ექსპორტი რუსეთში, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან რეგიონში პოპულარული იყო, საქართველოს ექსპორტის თითქმის ერთ მესამედს შეადგენდა.

აბაშიძის განცხადებით, განიხილება რეგიონული უსაფრთხოების საკითხები, განსაკუთრებით ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობის თემა, და ასევე კულტურული და ჰუმანიტარული თანამშრომლობის საკითხები ორ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას შორის.

მისივე თქმით, აგვისტოს ომის შემდეგ გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა დღის წესრიგში არ დგას.

მართლმსაჯულება

# მალე ზურაბ ადეიშვილსაც მიადგებიან

**იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი არ გამორიცხავს, რომ ერთ-ერთ საქმეში ზურაბ ადეიშვილის დანაშაულებრივი როლიც გამოიკვეთოს.**

— მაღალჩინოსნების როლი არაერთ ინფორმაციაშია მოხსენიებული, რომლებსაც ჩვენ ვლებულობთ. არ არის გამორიცხული, ერთ-ერთ საქმეში ზურაბ ადეიშვილის შესაძლო დანაშაულებრივი როლიც გამოიკვეთოს. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, მასზე საუბარი ჯერ ნაადრევია — ერთადერთი საქმე, რაც მის გვარს ამ ეტაპზე უკავშირდება, გირგვლიანის მკვლელობის სრულყოფილი გამოძიებაა. სხვათა შორის, ამ მხრივ წინ წავიწიეთ და გვაქვს ახალი მტკიცებულებები - ეს აქამდეც ვიცოდით, მაგრამ



ყოფილმა ხელისუფლებამ ამის დადასტურება არ ისურვა. საქმე ეხება იმას, რომ კაფეში მჯდარ ჯგუფსა და გარეთ, გირგვლიანისა და ბუხაიძის მომტაცებელ ჯგუფს შორის, რა თქმა უნდა, კავშირი არსებობდა... შაშკინზე ვერაფერს გეტყვით, ამ ეტაპზე მასთან მიმართებაში რაიმე სერიოზული მუშაობა არ მიმდინარეობს, თუმცა უამრავი ინფორმაციაა შემოსული, — აღნიშნა წულუკიანმა და დასძინა, რომ ერთია ინფორმაციების არსებობა, მაგრამ მთავარი მტკიცებულებების მოპოვებაა.

რაც შეეხება იმას, რამდენად შესაძლოა მთავარი პროკურატურა რომელიმე საქმესთან მიმართებაში უშუალოდ პრეზიდენტ სააკაშვილის როლით დაინტერესდეს, იუსტიციის მინისტრმა კონკრეტული პასუხისგან ამ ეტაპზე თავი შეიკავა. პრეზიდენტზე, გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის გარეთ ბრძანდება, ამ ეტაპზე საუბრისგან თავს შევიკავებ. არ მინდა რაიმე ტიპის გამონათქვამი მუქარად აღიქვას. მსურს, რომ დაბრუნდეს ქვეყანაში, — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

უშუალოდ პატიმრობაში მყოფ შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიასთან მიმართებაში კი წულუკიანმა ბრალის კიდევ უფრო დამძიმება არ გამორიცხა. არ არის გამორიცხული ბაჩო ახალაიას ბრალი დაუმძიმდეს. ამ ეტაპზე შესწავლაშია სერგო თეთრაძის საქმე, მაგრამ ამ ეპიზოდთან დაკავშირებით ჯერ ახალაიას ბრალი არაა გამოკვეთილი. მოკვლევა მიმდინარეობს ციხეებში აქამდე არსებულ ვითარებაზეც, რათა ახალაიას როლი ამ მიმართულებითაც დადგინდეს. ერთია რას ფიქრობს საზოგადოება, მაგრამ მთავარია, რას გვეტყვის მტკიცებულებები, — აღნიშნა წულუკიანმა.

სამართალი

# შსს-ს ყოფილ მაღალჩინოსნებს სხვათა პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მიღებაში ედებათ ბრალი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხრა ყოფილ მაღალჩინოსანს ბრალი ედება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სხვა ადამიანების პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მიღებაში, — ამის შესახებ ჟურნალისტებს სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მაღალჩინოსნების დაკავებების კომენტირებისას განუცხადა.**

მისივე თქმით, ეს არ არის პოლიტიკური დაკავებები. დაკავებულია ცხრა ადამიანი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი ჩინოსნები, რომლებსაც ბრალი ედებათ იმაში, რომ მათ გამოიყენეს თანამედროვე ტექნოლოგიები, კომპიუტერული ქსელი, რათა ადამიანების პირადი ცხოვრება, მათ შორის კომერციული და ფინანსური ინფორმაცია გაეტანათ, — აღნიშნა თეა წულუკიანმა.

კუდ-ისა და სოდ-ის მაღალჩინოსნები მთავარ პროკურატურაში დაკითხვაზე იმყოფებოდნენ, რომლის შემდეგაც რამდენიმე მათგანი დააკავეს. მათ შორის არიან კუდ-ის უფროსი ლევან ქარდავა და თბილისის კუდ-ის უფროსი გიორგი ყაველაშვილი.

როგორც ყაველაშვილის ადვოკატმა დავით ხაჟალიამ აღნიშნა, ყაველაშვილს ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით, რაც სხვისი ქონების განადგურებას გულისხმობს და დანაშაული 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გარდა ამისა, მას ბრალი წარედგინა 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს და ასევე 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. საქმე ეხება „ქართუ ჯგუფის“ კუთვნილი ტვირთის დაზიანებას ტერმინალზე.

ლევან ქარდავას ადვოკატის კახა შონიას განცხადებით კი, მისი დაცვის ქვეშ მყოფს ბრალი ორი მუხლით წაუყენეს — 143-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს და 333-ე მუხლით — უფლებამოსილების გადამეტება. ამ შემთხვევაში საუბარია ბიძინა ივანიშვილის დაცვის წევრ ბესიკ სურმავას გატაცებასა და თავისუფლების უკანონო შეზღუდვაზე.

**ინტერპრესნიუსი**

ჭინჭარსიტყვა

## სხარტულები ბრიუსელელი და თბილისელი ადრესატებისათვის

**„ნატოს“ გენერალურ მდივანს**

ბატონო რასმუსენ,
ვის უსმენ, რას უსმენ,
ვისიც ხარ შემნდობი
და სიტყვას ენდობი,
მკვდრები და ცოცხლები
შებილწა ცოცხებით.

სატანის ნამუსრევს
ვერ დაანამუსებ...
ავყიას რას უსმენ,
ანდერს ფოგ რასმუსენ?!

**გიგი უგულავას**

*გათავხედებულ მერს, რომელმაც მთავრობის სახლი ქაჯეთად მოიხსენია.*

მაშინ არ იყო ქაჯეთი,
როდესაც თავზე გვაჯექი?

**ალექსანდრე შენგელია**
**ქ. ქუთაისი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ⦿ ჭკუა (ფული) უხმარ არს ბრიყვთათვის...

# არშემდგარი „მარშალის გეგმა“...



**ანუ რატომ ვერ თუ არ გამოიყენა საქართველომ ჯეროვნად იმ თანხაზე ორჯერ და მეტადაც მეტი ფული, რომლითაც მეორე მსოფლიო ომით დანგრეული დასავლეთ ევროპა ოთხ წელიწადში ფეხზე დადგა, ჩვენ კი...**

**საქართველოს ახალი მოწვევის პარლამენტის საქმიანობისადმი, მინისტრთა ახალი კაბინეტის შერჩევისა და დამტკიცებისადმი მაღალმა საზოგადოებრივმა ინტერესმა ერთგვარად გადაფარა საქართველოს უახლესი ისტორიის ერთი საგულისხმო მოვლენის ოთხი წლისთავი - 2012 წლის 22 ოქტომბერს შესრულდა ოთხი წელი ბრიუსელის დონორთა კონფერენციიდან, რომელმაც აგვისტოს ომისაგან დაზარალებულ, დასუსტებულ და ეკონომიკურ კრიზისში ჩავარდნილ ქვეყანას უპრეცედენტო დახმარების ხელი გაუწოდა. — აღნიშნულ კონფერენციაზე გადაწყდა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან და წამყვანი სახელმწიფოებიდან საქართველოსათვის მანამდე უპრეცედენტო დახმარების (4.55 მლრდ. აშშ დოლარი) გამოყოფა.**

უპრეცედენტო იყო მასში კერძო სექტორიდან მობილიზებული თანხების მასშტაბებიც (850 მლნ. აშშ დოლარი).

საქართველოს უმსხვილესი დონორი გახდნენ აშშ (1 მლრდ. აშშ დოლარი) და ევროკავშირი (0.6 მლრდ. აშშ დოლარი); გერმანიის მთავრობამ გამოყო 360 მლნ. აშშ დოლარი, იაპონიის მთავრობამ — 315 მლნ. აშშ დოლარი, მსოფლიო ბანკმა — 810 მლნ. აშშ დოლარი, აზიის განვითარების ბანკმა — 720 მლნ. აშშ დოლარი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა — 405 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო ევროპის საინვესტიციო ბანკმა — 270 მლნ. აშშ დოლარი.

გამოყოფილი თანხის თითქმის 45 პროცენტი (2.0 მლრდ. აშშ დოლარი) გრანტი იყო, ხოლო დანარჩენი — შეღავათიანი კრედიტი.

**გამოყოფილი სახსრები გამოყენებულ იქნა ბიუჯეტის მხარდასაჭერად, აგრეთვე, სატრანსპორტო, ურბანული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების, ენერგეტიკის მიზნებისა და 1990-იანი წლების და 2008 წლის იძულებით ადგილნაცვალ პირთა მხარდასაჭერად, უპირველესად მათი საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად.** — აგვისტოს ომის შემდეგ დევნილთა რაოდენობა 30 ათასი კაცით გაიზარდა (საომარი მოქმედებების შემდეგ პირველ დღეებში — 150 ათასით და მეტად).

მთლიანად, **გამოყოფილი კრედიტების და გრანტების 3-4-ზე მეტი უშუალოდ ეკონომიკაზე დაიხარჯა,** რადგანაც აგვისტოს ომმა და მსოფლიო კრიზისმა განსაკუთრებული ზიანი ქვეყნის ეკონომიკას მიაყენა. სახელმწიფოს შესაბამისი სახსრები არ ჰქონდა, ხოლო კერძო სექტორი ომით მიყენებული ზარალისა და კრიზისული მდგომარეობის გამო თავად დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა შესაბამისი ინვესტიციების განხორციელებას, მით უფრო — საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტების დაფინანსებას. 2008 წლის პირველი ნახევრის 8.9-პროცენტიანი ეკონომიკური **ზრდა** მეორე ნახევარში 2.9-პროცენტიანი **ვარდნით** შეიცვალა. ასევე, ინვესტიციების მოცულობა 2008 წლის მეორე ნახევარში პირველ ნახევართან შედარებით საქართველოში შემცირდა 2.7-ჯერ.

აღნიშნული გარემოებების, აგრეთვე, პრივატიზაციიდან თავდაპირველზე შედარებით ნაკლები შემოსავლის მიღების გამო **ბიუჯეტის დასაბალანსებლად** დახმარების მიღებიდან პირველსავე წელს (2008-2009 წლებში) გამოყენებულ იქნა თითქმის ერთი მილიარდი აშშ დოლარი.

დონორებიდან მოზიდული სახსრებიდან 2650 მლნ. აშშ დოლარი გამოყენებულ იქნა საომარი მოქმედებების შედეგად **დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად** (მწყობრიდან იყო გამოსული გზები, დაზიანდა საავიაციო რადარი, თბილისის აეროპორტის ასაფრენი ბილიკი, რკინიგზა, ფოთის პორტი და ა.შ.).

**საგზაო ინფრასტრუქტურის ხაზით** დაფინანსდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის მშენებლობა, მეორადი და ადგილობრივი გზების რეაბილიტაცია, სამცხე-ჯავახეთის გზის მშენებლობა.

**ენერგეტიკის ხაზით** დაფინანსდა რეგიონული მნიშვნელობის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა, მათ შორის საქართველოდან ენერგოექსპორტის მოცულობის გაზრდის მიზნით.

**მუნიციპალური სექტორის რეაბილიტაცია-განვითარების ხაზით** ქვეყნის მასშტაბით (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და სხვ.) განხორციელდა წყალმომარაგებისა და წყალარინების* სისტემის რეაბილიტაცია და განვითარება, საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია, ხელი შეეწყო ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარებას — ხიდების მშენებლობას, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებას, თბილისში ვაჟა-ფშაველას გამზირის ბოლომდე მეტროს მშენებლობას, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ავტოსადგომების სისტემებისა და საგზაო ქსელის განვითარებას, საგზაო მოძრაობის კონტროლსა და მართვას და ა.შ.

ყველაზე მეტ დარტყმას ომი და ფორსმაჟორული გარემოებები, როგორც წესი, საბანკო სექტორს აყენებს. დოლარიზაციის კოეფიციენტი, რომელიც გარკვეულწილად ქვეყნის ფინანსური და საბანკო-საკრედიტო სისტემისადმი საზოგადოებრივი და ინსტიტუციური ნდობის ინდიკატორადაც გამოდგება, ომამდე სისტემატურად მცირდებოდა, აგვისტოს ომის შემდეგ კი მკვეთრად გაიზარდა (2008 წლის ივლისის 56.9 პროცენტიდან დეკემბრის 73.1 პროცენტამდე; ამჟამად 63.7 პროცენტია, ანუ ჯერაც არ მიუღწევია ომამდელი დონისათვის). საქართველოს **საბანკო სექტორს სისტემის რეფინანსირებისა და მათ მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად,** სესხების ფასიანი ქაღალდებისა და გარანტიების საშუალებით გამოეყო 850 მილიონი დოლარი. აღნიშნულმა დახმარებამ მნიშვნელოვანწილად უზრუნველყო ქვეყნის საბანკო სექტორისა და, აქედან გამომდინარე, მთელი ეკონომიკის მდგრადობა.

ამასთან, ამჟამინდელი გადასახედიდან, ზემოხსენებული დახმარებით მიღწეული შედეგები გაორებულ განცდას ტოვებს.

ერთი მხრივ, მთლიანობაში, დონორების მხარდაჭერის ხარჯზე მოხერხდა ეკონომიკის მდგრადობის შენარჩუნება, ორმაგი უარყოფითი ნეგატიური კუმულატიური ფაქტორის (ომი, მსოფლიო კრიზისის გავლენა) მიუხედავად, საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტი 2009 წელს შემცირდა მხოლოდ 3.9 პროცენტით, მაშინ, როცა ევროზონის ქვეყნების ნახევარში დაცემის მასშტაბები ამაზე მეტი იყო (გერმანია — 5.0%, იტალია — 5.5%, ფინეთი — 8.4%...). ბალტიის ქვეყნებში ეკონომიკა საშუალოდ 15 პროცენტზე მეტად დაეცა, რუსეთში - 7.8 პროცენტით, უკრაინაში — 14.8 პროცენტით. რომ არა დონორების დახმარება, ეკონომიკის ვარდნა საქართველოში გაცილებით მასშტაბური იქნებოდა. მაგალითად, ჩვენს მეზობელ სომხეთში 2009 წელს მთლიანი შიგა პროდუქტი 14.2 პროცენტით შემცირდა; ვარდნა იყო თურქეთშიც (— 4.8%). 2009 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ საქართველოში მხოლოდ 1.7 პროცენტი შეადგინა.

მეორე მხრივ, დონორთა ბრიუსელის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებით, **საქართველოსათვის გაწეული დახმარება ვერ იქცა ჩვენი ქვეყნისათვის ახალ „მარშალის გეგმად“.** — ამის მიზეზი არ ყოფილა სახსრების სიმწირე. თავის დროზე, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის 250-ანმილიონიანი მოსახლეობის თექვსმეტ სახელმწიფოს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სულ 12.4 მილიარდი დოლარის დახმარება და სესხი გამოუყო, რაც ახლანდელ ფასებში მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოსათვის გამოყოფილი სახსრების დაახლოებით 45 პროცენტია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, საქართველოსათვის გამოყოფილი სახსრები ორჯერ და მეტად აღემატებოდა დასავლეთ ევროპისათვის „მარშალის გეგმით“ გამოყოფილი სახსრების მოცულობას.**

**„მარშალის გეგმის“ შედეგად დასავლეთ ევროპის ომით განადგურებული ეკონომიკა სულ ოთხიოდე წელიწადში წელში გაიმართა და განვითარდა, საქართველომ კი დროის იმავე მონაკვეთში მხოლოდ ის მოახერხა, რომ კრიზისს მასთან ღრმად არ გაედგა ფესვები და ნეგატიურ ტენდენციებს უფრო მასშტაბური ხასიათი არ მიეღო.**

შეიძლებოდა თუ არა მიღებული სახსრების უფრო ეფექტური გამოყენება?

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა.

იმის მიზეზი, თუ რატომ არ იყო მიღწეული უფრო შთამბეჭდავი შედეგები ასეთი მასშტაბური დახმარების ფონზე, რამდენიმეა:

**ჯერ ერთი, სახსრების განკარგვასა და ათვისებაზე კონტროლი მთლიანად სახელმწიფო-ბიუროკრატიულ აპარატზე იყო მინდობილი. საზოგადოებასა და ბიზნესს მხოლოდ პასიური მეთვალყურისა და მიღებული გადაწყვეტილებების აღმსრულებლის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული;**

**მეორე. აღრეული იყო თავად ინსტიტუციური ერთეულების მონაწილეობის როლი და მასშტაბები სახსრების ათვისებაში. მაგალითად, დევნილთათვის დასახლების მშენებლობის ხელმძღვანელობისა და სახსრების განკარგვის კარტ-ბლანში მიცემული ჰქონდა... შინაგან საქმეთა სამინისტროს(?!);**

**მესამე. სახსრებს აითვისებდნენ და გამოიყენებდნენ ძირითადად მსხვილი, ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესსტრუქტურები. შესაბამისად, დახმარების გამოყენების მიმდინარეობა არა მარტო ნაკლებად ტრანსპარენტული იყო, არამედ მისი ეკონომიკური სარგებლიანობა არ ვრცელდებოდა მთელ ბიზნესზე;**

**და ბოლოს. დახმარებების მიმართულებები შინაგანად არ იყო მყარად დაკავშირებული ერთმანეთთან, მათი მთავარი მიზანი იყო „თავდაცვა“ (ეკონომიკაში ნეგატიური ტენდენციების დადგომისა და ხელისუფლების „ჩამოშლის“ ალბათობის მაქსიმალური შემცირება) და არა „შეტევა“ (სისტემური, პირველ რიგში ინსტიტუციური ცვლილებები, მთელი ეკონომიკის მოცვა), რის გამოც მათი შედეგიანობა უფრო მოკლევადიანი და სეგმენტური იყო, ვიდრე სისტემური და გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი.**

**მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ, საეჭვო ტენდერების, სამუშაოთა თვითღირებულების საარაკო გაზრდასა და ჩრდილოვანი ეკონომიკის „თაიგულის“ სხვა ელემენტებს რომ თავი დავანებოთ, ხელისუფლების მიერ საზღვარგარეთული დახმარების ხარჯზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან „გამოთავისუფლებული“, შიდა წყაროებით მობილიზებული სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი არარაციონალურად, არაეკონომიურად, უყაირათოდ დაიხარჯა. ბოლო წლების მანძილზე მრავალი ასეული მილიონი ლარი წარიმართა რამდენიმე მსხვილი, კომერციულად არამომგებიანი, პოლიტიკური ნარცისიზმისა და ჰედონიზმის გამომხატველი ხელთქმნილი ძეგლების აგება-კეთილმოწყობა-ექსპლუატაციაზე (პარლამენტის კომპლექსი ქუთაისში, პრეზიდენტის სასახლე და რეზიდენციები თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, „ანბანის კოშკი“ ბათუმში და ა.შ.). ასეთი რამ წარმოუდგენელი იქნებოდა, მაგალითად, მაღალი სახელმწიფოებრივი ტრადიციებისა და პოლიტიკური ელიტის ეროვნული პასუხისმგებლობის მქონე „ერჰარდისეულ“ გერმანიაში, მაგრამ შესაძლებელი გახდა მინავლებული სახელმწიფოებრივი ტრადიციებისა და ცნობიერების, ინფანტილური და ნაკლებად პატრიოტული მმართველი ელიტის მქონე „ბენდუქიძისეულ“ საქართველოში.**

ამიტომაც იყო, რომ თუმცა საქართველოს ყოფილი ხელისუფლება თავს იწონებდა რეფორმების სიღრმისეულობით და ბიზნესის წამოწყების სიიოლით, „ქართულ ეკონომიკურ სასწაულზე“, როგორზეც საუბრობდნენ 1950-იან წლებში იაპონიისა და დასავლეთ გერმანიის ეკონომიკაზე, მსოფლიოში ენა არავის დაუძრავს.

**„მარშალის გეგმით“ თავის დროზე მოხერხდა დახმარების მიმღებ ქვეყნებში ეროვნული ეკონომიკების, უწინარესად, რეალური სექტორის აღდგენა-განვითარება.**

**ჩვენთან 2003 წლის შემდეგ რეალური სექტორის წილი მშპ-ში შემცირდა 1.5-ჯერ;**

**„მარშალის გეგმის“ რეალიზაციის შედეგად დახმარების მიმღებმა ქვეყნებმა სწრაფად გაისტუმრეს საგარეო ვალები;**

**საქართველოს საგარეო ვალების მოცულობა 2012 წლისთვის, 2007 წელთან შედარებით, 2.4-ჯერ გაიზარდა;**

**სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ევროპაში „მარშალის გეგმის“ რეალიზაციის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა და მალე გადააჭარბა ომამდელ დონეს.**

**საქართველოში პირიქით მოხდა — 2011 წლისთვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა, 2003 წელთან შედარებით, 16 პროცენტით, ხოლო 2007 წელთან შედარებით კი 10.5 პროცენტით შემცირდა.**

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება: „მარშალის გეგმის“ საფუძველზე მოხერხდა საშუალო კლასის — ნებისმიერი საზოგადოების პოლიტიკური სტაბილურობისა და მყარი განვითარების განმაპირობებელი უმნიშვნელოვანესი სოციალური ძალის ჩამოყალიბება.

**საერთაშორისო უპრეცედენტო დახმარებას საქართველოს საშუალო კლასის სიდიდეზე ფაქტობრივად გავლენა არც მოუხდენია.** წინა ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ საშუალო კლასი ის ძალაა, რომელიც დიდ როლს თამაშობს ქვეყნის პოლიტიკური ლანდშაფტის ფორმირებაში, რომ ის პიროვნებათა ნაკრებია და არა ბრბო, რომ მისი საარჩევნო ხმა საკმაოდ ძვირია და მის მიმხრობისთვის სრულებითაც არაა გადამწყვეტი საშუალება პიარი... **ამიტომაც ხელისუფლება ფაქტობრივად არაფერს აკეთებდა, რომ ეს სოციალური ფენა რამდენადმე გაზრდილიყო.** მისი ზრდის უმნიშვნელოვანესი რესურსის — *მცირე და საშუალო ბიზნესის* წილი ბიზნესის მთლიან გამოშვებაში 2003 წლის შემდეგ საგრძნობლად შემცირდა, ხოლო საშუალო კლასის სიდიდე ვერ ასცდა მოსახლეობის 15-20 პროცენტს. გაიზარდა სოციალური დიფერენციაცია, ხოლო ფულადი შემოსავლების მხრივ ყველაზე მაღალშემოსავლიანი 10 პროცენტის ფულადმა შემოსავლებმა ყველაზე დაბალშემოსავლიან 10 პროცენტის შემოსავლებს 28-ჯერ გადაჭარბა. **კრიზისამდელ, 2007 წელთან შედარებით, უმუშევრობის დონე დღეს უფრო მაღალია, დასაქმებულთა რაოდენობა შემცირებულია 40 ათასით, ხოლო უმუშევართა რიცხოვნობა კი გაზრდილია 30 ათასით.**

„სამაგიეროდ“, უზარმაზარი რესურსები ჩაიდო გზების მშენებლობასა და რეაბილიტაციაში - სფეროში, სადაც არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრაქტიკა მოწმობს, რომ ყველაზე მეტი „მარცხენა ფული იხსნება“. **მარტო 2008-2012 წლებში გზებში „დამიწებული“ მხოლოდ უცხოური კრედიტებისა და გრანტების მოცულობამ თითქმის 900 მლნ. დოლარი შეადგინა.** მთლიანად, გზების მშენებლობაზე ბიუჯეტიდან გაღებული ხარჯების თანაფარდობა მთლიან შიგა პროდუქტთან 2012 წლისთვის 2008 წელთან შედარებით გაორმაგდა და 8.2 პროცენტი შეადგინა. ეს საგრძნობლად აღემატება სახელმწიფოს მიერ განათლებისა და მეცნიერების დაფინანსებას და 1.5-ჯერ — საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე გაღებულ ხარჯებს. თუმცა, გზების საერთო სიგრძე ყოველ კვადრატულ კილომეტრზე ჯერაც 1.6-ჯერ ჩამორჩება ჩვენი სამხრეთელი მეზობლის თურქეთის, 3-ჯერ — საბერძნეთისა და 7-ჯერ და მეტად — საქართველოზე არანაკლებ მთაგორიანი რელიეფის მქონე შვეიცარიის ანალოგიურ მაჩვენებელს. **საქართველოს წინა ხელისუფლების გზებით „გატაცებამ“ „ტაძრამდე არ მიგვიყვანა“, „უკეთეს შემთხვევაში“ — მხოლოდ ვიპ-ჩინოვნიკების თითქმის კათედრალური ტაძრისხელა სასახლეებამდე.**

მაგრამ, თუ „მონანიების“ თითქმის ქრესტომათიულად ცნობილ ნათქვამს დავესესხებით, **„რა საჭიროა გზა, რომელიც ტაძრამდე არ მიგიყვანს?!“**

თავის დროზე დახმარების გამომყოფი დონორები გამოთქვამდნენ რწმენას, რომ სახსრები მოხმარდებოდა არა მარტო ომით მიყენებული ზარალის კომპენსაციას და კრიზისის დაძლევას, არამედ *დემოკრატიული რეფორმების გაგრძელებას, სასამართლო და საფინანსო რეფორმების დაჩქარებას და მედიის თავისუფლების უზრუნველყოფას.*

**თუ როგორ შეასრულა საქართველოს წინა ხელისუფლებამ აღნიშნული „საშინაო დავალება“, ეს კარგად გამოჩნდა მომდევნო პერიოდში. — იმის ნაცვლად, რასაც დონორები მოელოდნენ, საქართველოს ხელისუფლებამ აქცენტი პირადი ძალაუფლების განმტკიცებაზე, სახელისუფლებო ვერტიკალის გაძლიერებაზე, საზოგადოებისა და მედიის გაკონტროლებასა და დემოკრატიის შეზღუდვაზე აიღო.**

ამიტომაც ამაზე საქართველოს მოსახლეობის რეაქცია ერთმნიშვნელოვანი იყო: მან 2012 წლის 1 ოქტომბერს არჩევანი საკუთარი ტაძრისკენ მიმავალი გზის — ღირსების, სამართლიანობისა და დემოკრატიის სასარგებლოდ გააკეთა.

**ყველაფერს ისეთი პირი უჩანს, რომ საქართველოს ეკონომიკას ამიერიდან ახალი მარშალის გეგმით მოუწევს განვითარება — მას ახალი პრემიერ-მინისტრი, ანუ ხატოვნად რომ ვთქვათ, ეკონომიკის ახალი მარშალი, თავისი აქტივების მასშტაბების გათვალისწინებით კი, გენერალისიმუსი ჰყავს.**

**იმედს ვიტოვებ, რომ „საქართველოს ეკონომიკის ახალი მარშალის“ გეგმა არანაკლებ შედეგიანი, წარმატებული იქნება, ვიდრე ოდინდელი „მარშალის გეგმა“ დასავლეთ ევროპისთვის...**

**იოსებ არჩვაძე.**
2012 წლის ნოემბერი

* **წყალარინება — ჩამდინარე წყლის გატარება და გამწმენდი ნაგებობების საშუალებით დასაშვებ ნორმამდე გაწმენდა.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ხალხი და ხელისუფლება

**პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით ხელოვანებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. „გადადგეს მიხეილ სააკაშვილი!“ – ეს მოთხოვნა მალე მასობრივ ხასიათს მიიღებს. ხელმოწერების შეგროვებას არასამთავრობო ორგანიზაცია „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისთვის“ კურირებს.**

სუხიშვილების ყოფილი მოცეკვავე **ომარ მხეიძე** აცხადებს, რომ რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს და ხალხმა ზურგი უნდა შეაქციოს პრეზიდენტს, ისიც უნდა დაემორჩილოს საზოგადოების ნებას, რადგან თანდათანობით ხალხი ფეხზე დადგება და უფრო სამარცხვინოდ დამთავრდება ეს ყველაფერი.

**„ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს აქვს დასასრული და უნდა დასრულდეს ქაოსი და ორხელისუფლებიანობა. ხალხი დაიღალა“,** — აღნიშნა ომარ მხეიძემ.

რეჟისორი **რეზო ჩხეიძე** კი მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილი უთუოდ უნდა გადადგეს. სულ მალე მთელი საქართველოს მოსახლეობა გამოთქვამს აზრს და გადაწყვეტს, უნდა დაუჭიროს თუ არა მხარი ამ მოთხოვნას.

For.ge დაინტერესდა, დაემორჩილება თუ არა მიხეილ სააკაშვილი ხალხის ნებას და მის ბოლოდროინდელ გამოსვლებში თუ იკვეთება გადადგომის მზაობა. ჩვენ გვახსოვს, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით წლების მანძილზე რამდენიმეგზის შეგროვილა ხელმოწერები, თუმცა უშედეგოდ.

ექსპერტი **რამაზ საყვარელიძე** მიიჩნევს, რომ, პრაქტიკულად, პირველი ოქტომბრის არჩევნების შედეგებით იკვეთება საქართველოს მოსახლეობის განაცხადი, რომ მათ ნაციონალების პარტია არ უნდათ. ეს კი პირდაპირ მიანიშნებს, რომ მოსახლეობას მათი პრეზიდენტიც არ უნდა. თუმცა პირველი ოქტომბრის განაცხადმა პრეზიდენტს სინდისის ქენჯნა არ აღუძრა და გადადგომისკენ არ უბიძგა. ამიტომ, ალბათ, ამჯერად რიცხობრივად გაცილებით ნაკლები იქნება ხელმომწერთა რიცხვი, ვიდრე ამომრჩეველთა და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა რიცხვი იყო ამ არჩევნებში. ამის გათვალისწინებით, რამაზ საყვარელიძეს ეეჭვება, რომ ამ რიცხვმა უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინოს. მით უმეტეს, პრეზიდენტი არ არის გულჩვილი ინტელიგენციის მიმართ. პირიქით, სააკაშვილი ხშირად მათ მიმართ აგრესიული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა.

**„ასე რომ, ხელმოწერების შეგროვებას უშუალოდ პრეზიდენტზე ზეგავლენის პოტენციალი, მე მგონი, არ აქვს. თუმცა, როგორც ქართული, ისე საერთაშორისო საზოგადოების თვალში საქართველოს პოზიციის დაფიქსირებისთვის, მათ საყურადღებოდ განაცხადის გაკეთებისთვის, ალბათ, ასეთ ხელმოწერებს გარკვეული პოლიტიკური დატვირთვა ექნება“,** — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

მასვე ხელმოწერების საშუალებით რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტის გადადგომის პრეცედენტი არ ახსენდება, მაგრამ ერთ ცნობილ ფაქტს იხსენებს, როცა საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი გადადგა, როდესაც სტუდენტებმა ეს მოითხოვეს.

**„იმ დროს საფრანგეთში დიდი გამოსვლები იყო, მაგრამ სააკაშვილისგან განსხვავებით, ის დე გოლი იყო“,** — დასძინა რამაზ საყვარელიძემ.

ადვოკატი **ლია მუხაშავრია** მიიჩნევს, რომ რამდენი ხელმოწერაც არ უნდა შეაგროვოს არასამთავრობო ორგანიზაციამ, პრეზიდენტი არ გადადგება.

მისი განმარტებით, ჯერ ერთი, კანონით არ არის განსაზღვრული, თუ რამდენი ხელმოწერა უნდა შეგროვდეს მთლიანობაში. არც ისაა განსაზღვრული, ხელმოწერები რომ შეგროვდება, მერე რა უნდა მოხდეს. ამდენად, ლოგიკას რომ მივყვეთ, გადადგომის მოთხოვნა არ არის დამოკიდებული მარტო კონკრეტულ ადამიანთა ჯგუფზე.

**„მის გადადგომას რომ ვითხოვ, იგი ხომ უნდა დამთანხმდეს ან უარყოს ჩემი მოთხოვნა?! შესაბამისად, როდესაც კანონი ასეთ რამეს არ არეგულირებს, რამდენი ხელმოწერითაც უნდა იყოს ეს მოთხოვნა გამყარებული, მაინც სააკაშვილს რჩება უფლება, არ გაითვალისწინოს იგი. ჩვენ ხომ ვიცნობთ სააკაშვილს და ხომ ეჭვი გვაქვს, რომ იგი ასეთ მოთხოვნას არ გაითვალისწინებს“,** — აღნიშნა ლია მუხაშავრიამ და ასეთი მოთხოვნის წამოყენება პერსპექტივაში მთლად გამართლებულად არ მიიჩნია.

### „სააკაშვილისგან განსხვავებით, ის დე გოლი იყო და პრეზიდენტობიდან გადადგა“



მისი აზრით, ერთი წუთითაც რომ წარმოვიდგინოთ, ვთქვათ, ერთმა მილიონმა ადამიანმა მოაწერა ხელი ამ მოთხოვნას და სააკაშვილი მაინც არ გადადგა, მაშინ რა მოხდება?! ასე რომ, სამართლებრივი პასუხი ამ სიტუაციისთვის არ არსებობს.

მისივე განმარტებით, სულ სხვა საქმეა რეფერენდუმი ან პლებისციტი. კონსტიტუციით შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა, თუმცა, ამას მკაცრად გაწერილი პროცედურა აქვს. რეფერენდუმზე საკითხი რომ დადგეს, საამისო ფორმულირებაზე უნდა დაიწეროს დასკვნა, იუსტიციის სამინისტრომ მკაცრი პროცედურების მიხედვით, ეს კითხვა უნდა ჩამოაყალიბოს, მერე ცესკოს უნდა დაევალოს და, როგორც არჩევნები ტარდება ქვეყანაში, ისეთივე რთული იქნება რეფერენდუმის ჩატარება. ამიტომ, პლებისციტი უკეთესი გამოსავალია.

პლებისციტი, ანუ კონკრეტული საკითხის მიმართ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა (რომელიც მოგვიანებით შეიძლება საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველიც გახდეს) უფრო დასაშვებია. მაგალითად, ვინმემ რომ იკითხოს „ხართ თუ არა თანახმა, 2013 წლიდან ამოქმედდეს საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი“ და ამას ასი ათასმა კაცმა დაუჭიროს მხარი, ამ შედეგებით მოგვიანებით შეიძლება მიმართონ პარლამენტს და მოსთხოვონ, რომ ეს საკანონმდებლო ინიციატივად გადაიქცეს. ამის შემდეგ პარლამენტსაც წარმოეშობა ვალდებულება, საზოგადოების პოლიტიკური მოსაზრება გაითვალისწინოს. თორემ, სხვა მხრივ, იძულების მექანიზმი ამის უკან არ დგას.

**„ხელმოწერების შეგროვებას აჯობებდა, პლებისციტი ჩაეტარებინათ. უნდა ეკითხათ საზოგადოებისთვის, ჩვენ ხომ სააკაშვილი ავირჩიეთ 2008 წლის იანვარში, კანონით და კონსტიტუციით, პრეზიდენტს ვირჩევთ ხუთი წლის ვადით. ამდენად, „ხართ თუ არა თანახმა, შემდეგი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნოს 2013 წლის იანვარში?“ თუ ასეთი ფორმულირების შეკითხვაზე მოსახლეობა დადებითად უპასუხებდა და ამით პარლამენტს საშუალება მიეცემოდა, ეს გამოეცხადებინა ან შეეთავაზებინა პრეზიდენტისთვის“.**

იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი არჩევნების დანიშვნაზე მაინც უარს იტყოდა, ეს იქნებოდა ისეთი პოლიტიკური სიტუაცია, როდესაც პრეზიდენტი გაჯიუტდა და საზოგადოებას აშკარა უპატივცემულობა გამოუცხადა.

ექსპერტი პოლიტიკის საკითხებში **კახა კახიშვილი** მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის მხრიდან გადადგომის მზაობა არ იკვეთება. უფრო მეტიც, არაერთხელ შეუგროვებია საქართველოს მოსახლეობას ხელმოწერები, მაგრამ ამის მიუხედავად, რეაგირება არ ყოფილა იმ დროს, როცა ნაციონალები ხელისუფლებაში იყვნენ. მეტიც, ცინიკური ფრაზები და შეძახილები ისმოდა, რომ ამ ხელმოწერებს თურმე ჯოჯოები, მუმიები და კორუმპირებულები აგროვებდნენ.

კახა კახიშვილის განმარტებით, პოლიტიკური მომენტის გამოსაკვეთად ხელმოწერების შეგროვებისას ისეთი პოლიტიკური აქცენტი უნდა დაისვას, თუ რამდენი ადამიანი უჭერს მხარს საქართველოს პრეზიდენტის გადადგომას. თუმცა წმინდა სამართლებრივად, იმპიჩმენტის საფუძვლებში პრეზიდენტის ხელმოწერებით გადადგომის საკითხი არ დგას. მეტიც, ძალიან გართულებულია იმპიჩმენტის პროცედურები და რეალურად შეუძლებელიცაა. მით უფრო, ისეთ პირობებში, როდესაც სასამართლოს თავიდან ბოლომდე პრეზიდენტი და მასთან დაახლოებული ხალხი აკონტროლებს.

თუმცა, კახა კახიშვილი მაინც მიიჩნევს, რომ ხელმოწერების შეგროვება პოლიტიკური მნიშვნელობის პროცესია და არა — სამართლებრივი. ეს იქნება იმის დემონსტრირება, რამდენ ადამიანს სურს, საქართველოს პრეზიდენტად აღარ იყოს სააკაშვილი. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ ხელმოწერების შემდგომ პარლამენტში იმსჯელონ ისეთ მექანიზმებზე, რომ რეალურად საქართველოს პრეზიდენტს ასეთი ბერკეტები აღარ ჰქონდეს.

**„მიუხედავად იმისა, რომ ისინი აცხადებენ, თითქოს უმცირესობაში არიან, ძალიან ბევრ რამეს აკონტროლებენ ამ ქვეყანაში, დაწყებული ენერგოობიექტებიდან (რომლებსაც მესამე და მეოთხე პირების მეშვეობით აკონტროლებენ), დამთავრებული ელჩებით. ხომ ხედავთ, ელჩებიც კი ახალი მთავრობის საწინააღმდეგოდ მუშაობენ. რასმუსენის განცხადებაც სწორედ ამის დასტურია“,** — აღნიშნავს კახა კახიშვილი.

**მანანა ნოზაძე**

## ალიან-ჩალიანი

### ინა გუდავაძე განცხადებას ავრცელებს



**ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის ქვრივი ინა გუდავაძე განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ.**

**„ამ ბოლო დროის განმავლობაში მე, ჩემი ოჯახის წევრები და ჩვენი ახლობლები ისევ გავხდით ვანო ჩხარტიშვილის განცხადებების სამიზნე. ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეები უჩივიან ვანო ჩხარტიშვილს სხვადასხვა სასამართლოებში და საქართველოს პროკურატურაში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ კომპეტენტურ ორგანოებს არ გაუჭირდებათ, რომ გაერკვნენ საკმაოდ მარტივ ფაქტებში და დაადგინონ სიმართლე მედიასაშუალებების ჩარევის გარეშე. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მე და ჩემი ოჯახის წევრებს არ მიგვიღია მონაწილეობა ვანო ჩხარტიშვილის შესახებ „რუსთავი 2“-ზე გასული კლიპის წარმოებასა და გავრცელებაში. ამის საბუთად ისიც იკმარებს, რომ ეს კლიპი ჩვენი მონაწილეობით ან დავალებით რომ შექმნილიყო, ლაპარაკი იქნებოდა კიდევ მრავალ აქტივზე, რომელიც ჩვენი მტკიცებით, ბადრის გარდაცვალების დროს მის კომპანიებს ეკუთვნოდა და გარდაცვალებიდან სულ ცოტა ხანში ვანო ჩხარტიშვილის და მისი ოჯახის წევრების საკუთრებაში აღმოჩნდა.**

**ასევე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ტელეკომპანია „მზეს“ და იმას, თუ ვინ იყვნენ ამ არხის მფლობელები, არანაირი კავშირი არ აქვს ტელეკომპანია „იმედის“ ჩვენი ოჯახის მიერ დაბრუნებასთან, — აღნიშნულია ინა გუდავაძის განცხადებაში.**

### „პიკი“ მერაბიშვილის ყოფილმა მრჩეველმა იყიდა

**შპს „ტელეკომპანია პიკს“, რომელიც „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მესამე არხს „პიკ“-ს მართავდა, ახალი მფლობელი ჰყავს.**

**როგორც „მედია.გე“ იუწყება, მიმდინარე წლის 29 ოქტომბერს კომპანიის 60 პროცენტი ოთხი დღით ადრე შექმნილ შპს „შვიესას“ გადაეცა.**

**სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით, პარტნიორთა კრებაზე გადაწყდა, რომ კომპანიის 60 პროცენტის გადაცემის სანაცვლოდ, „შვიესა“ ვალდებულია, ოქმზე ხელმოწერიდან 5 წლის განმავლობაში შპს „ტელეკომპანია პიკის„ კაპიტალში მილიონ ხუთასი ათასი ლარის ინვესტიცია განახორციელოს.**



**კრების ოქმში აღნიშნულია, რომ „შვიესას“ „შესატანი შესაძლოა, განხორციელდეს ფულადი ფორმით ან ქონებრივი შენატანის სახით“.**

**„შვისეას“ 30 პროცენტი „ტელეკომპანია პიკის“ 55 პროცენტის მფლობელმა მამუკა თათოშვილმა დაუთმო, 10-10 პროცენტი კი გიორგი აღდგომელაძემ, თამაზ გუდაძემ და ნიკოლოზ ტაბიძემ, რომელთაც მანამდე 15-15 პროცენტი ეკუთვნოდათ. გამოცემის ინფორმაციით, „შვიესას“ დამფუძნებელი და დირექტორი ლიტველი დარიუს იურგელავიჩუსია (Darius Jurgelevicius). ის ორმაგ მოქალაქეობას ფლობს და ამჟამად თბილისში ცხოვრობს. ლიტვური მედიის ცნობით, იურგელავიჩუსი საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის მრჩეველი იყო.**

### გაფიცულ მაღაროელთა მოთხოვნების ნაწილი დაკმაყოფილდება

**ტყიბულში, მინდელის სახელობის მაღაროს გაფიცულ თანამშრომლებს ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი ელისო ჩაფიძე და „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფის“ დირექტორის პირველი მოადგილე ვალერი კუხალაშვილი შეხვდნენ.**

**ელისო ჩაფიძემ მაღაროელებს განუცხადა, რომ მათი ხუთი მოთხოვნიდან სამი მოთხოვნა მაღაროს ადმინისტრაციის მხრიდან დაკმაყოფილებული იქნება. ესენია: არსებული ხელფასების შენარჩუნება, მაღაროს აღმასრულებელი დირექტორის, სრაიაკოვსკის გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან, ამასთან, ძიძიგურის სახელობის მაღაროში შევა შესაბამისი კომისია და შეისწავლის იქ არსებულ მდგომარეობას. შესაბამისი დასკვნის შემდეგ ძიძიგურის სახელობის მაღაროში, განახლდება მუშაობა.**

**ელისო ჩაფიძე ასევე მაღაროელთა საგაფიცვო კომიტეტის წევრებს შეხვდა, რომლის დროსაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ მაღაროელებსა და ადმინისტრაციას შორის გაფორმდება მემორანდუმი, რომელზეც ხელმოწერის შემდეგ შეწყდება მაღაროელების გაფიცვა. ელისო ჩაფიძემ მაღაროელებს სამუშაო პროცესის განახლებისკენ მოუწოდა.**



**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ მეოცნებეთა მრწამსი

# „პოლიტიკური ნიშნით არავის ვდევნით"...



**ამის გარკვევისთვის აუცილებელია ამთავითვე „რაღაც-რაღაცებზე" შევთანხმდეთ, რათა განვსაზღვროთ ის ბაზისი, საიდანაც მკითხველთან ერთად დავიწყებთ მსჯელობას თუ ვირტუალურ პოლემიკას.**

რა იყო ის, რისგანაც 1 ოქტომბერს გავთავისუფლდით, ანუ, რას უთხრა „არა!" ნაციონალური მოძრაობის სახით ქართველი საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ?

**თუკი ისეთ რბილ განსაზღვრებებს აღარ ვიხმართ, როგორებიც არის: ავტოკრატია, ჰიბრიდული დემოკრატია, ავტორიტარიზმი და ა.შ. რა ვიცი კიდევ, რითიც ბოლო 5 წელიწადია, ანუ 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევისა და ტელეიმედში შევარდნის, ანუ, მას მერე, რაც საქართველოში ნაცების დემოკრატიის შუქურამ ჭრაქივით ხრჩოლვა დაიწყო, ამის შემდეგაც ჯიუტად „ყურს გვიხედნიდნენ" დასავლეთიდან მსგავსი „ლაითი" შეფასებებით და ყველაფერს ნამდვილ სახელს დავარქმევთ — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" არის ფაშისტური პარტია!!!**

დიახ არის და არა იყო, რადგანაც სანამდე ნაცების სახელით თუნდაც ერთი დეპუტატი იჯდება პარლამენტში, ამ პარტიაზე წარსულში საუბარი არ შეიძლება!

**ერთი, რაც წარსულში შეიძლება ვახსენოთ მათ მიმართ, ის არის, რომ მიშნაცების 9-წლიანი მმართველობა ფაშისტური რეჟიმი იყო, ანუ მათი ხელისუფლება აღარ არის. თუმცა ეს „იყო და არა იყო რა", ესეც სანახევროდ, რადგანაც დეპუტატების არ იყოს, სანამ აღმასრულებელ ხელისუფლებაში თუნდაც ერთი მეცოცხე მოიაზრება, მანამდე არა თუ არამართებულია, არამედ სახიფათოც გახლავთ რეჟიმის წარსულში მოხსენიება, რადგანაც დღეს პრაქტიკულად ორხელისუფლებიანობაა სახეზე და უფრო მეტიც, ფაშისტების რევანშისტული ზრახვებიც არ გახლავთ საიდუმლო!**

თუკი ყოველივე უკვე თქმულში მკითხველთან მეტ-ნაკლებ თანხმობაში ვართ, იმასაც ვიტყვით, რომ პოლიტიკური დევნა, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს სოფლის მეურნეობის თუ სხვა „უწყინარ" სამინისტროებში საშუალო და დაბალი ჩინოვნიკების მასობრივ დათხოვნებს, მაგრამ, რაც შეეხებათ ე.წ. ძალოვან უწყებებს (სოდი, კუდი, კრიმინალური პოლიცია, სასჯელაღსრულების სამინისტრო, სასამართლოები, გნებავთ, პატრული), აქ, მიუხედავად უფროს-უმცროსობისა, შეიძლება ვინმეს უდანაშაულობაზე საუბარი?

> **თუკი ისეთ რბილ განსაზღვრებებს აღარ ვიხმართ, როგორებიც არის: ავტოკრატია, ჰიბრიდული დემოკრატია, ავტორიტარიზმი და ა.შ. რა ვიცი კიდევ, რითიც ბოლო 5 წელიწადია, ანუ 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევისა და ტელეიმედში შევარდნის, ანუ, მას მერე, რაც საქართველოში ნაცების დემოკრატიის შუქურამ ჭრაქივით ხრჩოლვა დაიწყო, ამის შემდეგაც ჯიუტად „ყურს გვიხედნიდნენ" დასავლეთიდან მსგავსი „ლაითი" შეფასებებით და ყველაფერს ნამდვილ სახელს დავარქმევთ — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" არის ფაშისტური პარტია!!!**

**აქედან გამომდინარე კი, ამ ხალხის დიახაც პოლიტიკური დევნაა არა თუ უპრიანი, არამედ აუცილებელიც ისევე, როგორც ეს ფაშისტური გერმანიის გესტაპოს მიმართ ხდებოდა ომის შემდგომ გერმანიაში!**

დიახ, შედარება სულაც არ მგონია, გადაჭარბებული — იმ დროის კონტექსტის გათვალისწინებით, რასაც მიშნაცები საკუთარი ხალხის მიმართ სჩადიოდნენ, უფრო პირიქითაა — ქართველი ნაციონალები არაფრით ნაკლებნი არ არიან გერმანელ ნაციონალ-სოციალისტებზე და დღეს რომ გასული საუკუნის 30-ანი წლები იყოს და არა XXI საუკუნის გარიჟრაჟი, დარწმუნებული იყავით, რომ კრემატორიუმებშიც დაგვწვავდნენ სადისტი ახალაიები — თუმცა ცოცხებამდე გესტაპოს ჯალათებსაც კი ვერ ეყოთ ფანტაზიები...

არა, რაღაც გამონაკლისები, ალბათ, ქართულ გესტაპოშიც იქნება, მაგრამ მათი რიცხვი იმდენად მიზერულია, რომ „იქაც არიან პატიოსანი პროფესიონალები", მეოცნებეთა ასეთი რიტორიკა პრაქტიკულად უაზრობაა და უფრო მეტიც, უკვე მომაბეზრებელიც!

**ზემოთ ჩამოთვლილი უწყებები ხომ ძალადობის, სადიზმის, უსამართლობის, წამების დიდი სახელმწიფო მანქანის, ქართული გესტაპოს ცალკეული შემადგენელი სეგმენტებია, რაზეც იდგა წლების მანძილზე მიშნაცების ქართველთმოძულე ფაშისტური რეჟიმი?!**

ამ ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა დღესაც არხეინად განაგრძობს „მოღვაწეობას" ძველ თანამდებობებზე: პროკურორებად თუ პოლიციის უფროსებად, ციხეებსა თუ სასამართლოებში და უფრო მეტიც, ზოგიერთები დაწინაურდნენ ან მომავალში იგეგმება მათი დაწინაურება ახალი ხელისუფლების პირობებში. განსაკუთრებით რეგიონებში შეიმჩნევა მსგავსი ტენდენციები!

რა თქმა უნდა, ძალოვანების — უჩინოთა თუ ჩინიანთა — კონკრეტული დანაშაულობები ცალ-ცალკე უნდა იქნას გამოძიებული, მაგრამ ეს იმხელა დროს მოითხოვს, რომ, როგორც რუსები იტყოდნენ, ამ დროის მანძილზე — „они много дров наломают". ამიტომ მანამდე, სანამ გამოძიება იტყვის თავის სიტყვას, ძალოვნების მაღალჩინოსნები ერთი ხელის მოსმით, ანუ პოლიტიკური ნიშნით უნდა განთავისუფლდნენ თანამდებობებიდან!

თუ ვინმეს ამ უწყებებში პატიოსანი პროფესიონალების ზუსტი რაოდენობა აინტერესებს, ამის დადგენაც „იოლია" მიშნაცების მიერვე უნებურად შექმნილი „ფორმულის" მეშვეობით — 100 %-ს მინუს ამ წლების მანძილზე კუბლაშვილის სასამართლოების მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები, ანუ 99,9%. რაც სხვაობაში —0,1 %-ს შეადგენს — აი, პატიოსანი პროფესიონალების „ზუსტი" რაოდენობა ძალოვან უწყებებში!..

ასე რომ, „ჩიტი ბრდღვნად არ ღირს", ანუ მეოცნებეების დემოკრატობა ჰუმანურობის თამაშად, იმის შიშით, რას იტყვის ევროპაო. დოდო აბაშიძის პოლიცმეისტერის არ იყოს — „თვალი დაუდგეს ევროპას", ემანდ ამ თამაშ-თ 1 ოქტომბრის მონაპოვარი არ დავაყენოთ საფრთხის ქვეშ!..

> **იქით კიდევ ერთმა ციხის მომავალმა მდგმურმა, ვანო ველარ გისმენთ (თუმცა, ვინ იცის?), მერაბიშვილმა სულ კაგებეშნიკები გვეძახა, აქეთ კი გიგი უგულავამ დაიწყო ბიძინა ივანიშვილთან მერის „პრავების კაჩავი". მართალია, მიხეილ გრძელის მსგავსად, გიგი ტანადმაც მიიღო საკადრისი, მაგრამ ხომ „იკაჩავა" და...**

## ცოცხები, ცოცხები, ცოცხები ჩქარა!

ძალოვანები იქით იყოს და, ოპოზიციად ქცეული ნაცბანდის სხვა ოდიოზები და მათი ბელადი, ჯერ კიდევ პრეზიდენტად წოდებული, რა დღეში არიან — კინაღამ წამომცდა, ნამუსი სულ დაკარგეს-მეთქი, მაგრამ რას დაკარგავდნენ, რაც არასდროს ჰქონიათ?

ბაჩანა ახალაია, მართალია, სადისტი მანიაკია, მაგრამ მისი ეს „ღირსებები" მაინც ხალხის შეზღუდულმა რაოდენობამ იწვნია ფიზიკურად. ესენი კი: ბოცო წიკლაური, აკუკი მინაშვილი, თეა თუთბერიძე, დავით დარჩიაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, მარიკა ვერულაშვილი და რა ვიცი კიდევ, რამდენი არიან, ყველას რა ჩამოთვლის, საკუთარი ამაზრზენი კომენტარებით, მთელს საქართველოს დაგვცინიან და ყოველგვარი ცოცხების გარეშე გვაუპატიურებენ!

სიტყვამ მოიტანა და, ეტყობა, დაავიწყდათ, რომ მეცოცხეთა პარტიის წევრები არიან და რომ „დაავიწყდათ", ეს ჩვენი ბრალიც გახლავთ!

ანუ, როგორ შეიძლება მათ სისულელეებზე სერიოზული პასუხების გაცემა?

**ბაჩო ახალაია, გმირი, საზოგადო მოღვაწე, გულანთებული ქართველი, დამნაშავე რომ ყოფილიყო, თავის ფეხით არ მივიდოდა და ა.შ. საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელი პასაჟებია!**

**ეს იცოდეთ და კარგად დაიმახსოვრეთ — ს ქომაგობთ, არანაკლები დამნაშავენი (იქნებ მეტიც) ხართ, ვიდრე თავად მანიაკი სადისტი ახალაია!**

ვიმეორებ, ამ ყველაფერზე სერიოზულად კამათი არ შეიძლება! ამ ყველაფერს ცალ-ცალკე და ერთად, მხოლოდ ერთი სიტყვით უნდა უპასუხო — ცოცხი!!!

ე.წ. საპარლამენტო უმცირესობამ, ბაჩანას გამო პარლამენტის ბოიკოტიც გამოაცხადა. მათმა ბელადმა მიშამ კი, პატიმარყოფილი შტაბის უფროსი გენერალი კალანდაძე, მთავარსარდლის უფლებით თანამდებობაზე აღადგინა. მართალია, სასამართლომ მეორე დღესვე გააუქმა მიხეილ გრძელის ბრძანება, მაგრამ ხომ ბრძანა, ანუ, ხომ შეურაცხგვყო მთელი საქართველო?

იქით კიდევ ერთმა ციხის მომავალმა მდგმურმა, ვანო ველარ გისმენთ (თუმცა, ვინ იცის?), მერაბიშვილმა სულ კაგებეშნიკები გვეძახა, აქეთ კი გიგი უგულავამ დაიწყო ბიძინა ივანიშვილთან მერის „პრავების კაჩავი". მართალია, მიხეილ გრძელის მსგავსად, გიგი ტანადმაც მიიღო საკადრისი, მაგრამ ხომ „იკაჩავა" და...

ნეტავი რისი ან ვისი მერია, იმ თბილისის, სადაც ათივე რაიონი პირწმინდად წააგო ნაცბანდამ?

**ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი აბსურდის თეატრიც აღარ არის. ეს უფრო გიჟების „დურდომს" ჰგავს და ამის ყურება უკვე აუტანელია!**

როგორც ჩანს, ამერიკელების სურვილების საწინააღმდეგოდ, ნაცმოძრაობის (ცოცხების) პარტიას არ ასცდება გასამართლება, როგორც მავნებლების კრიმინალურ ბანდას. ამისთვის კი საჭიროა, რომ პარტიად წოდებული ნაცბანდის ლიდერები: დიმა შაშკინი, ზურაბ ადეიშვილი, მურთაზ ზოდელავა, გიორგი ბარამიძე, კოტე კუბლაშვილი, დათა ახალაია, როლანდ ახალაია (და ა.შ. თუ ვინმე გამომრჩა, მომიტევეთ), ბოლოს თვით უმაღლესი მთავარსარდალი ადრე თუ გვიან ბაჩო ახალაიას მეზობელ კამერებში მოვათავსოთ!

**ეს, რა თქმა უნდა, ძალოვნების ალაგმვისგან განსხვავებით ადრე და მალე ვერ მოხერხდება, მაგრამ ბაჩო ახალაია ის ერთი მერცხალია, რომელიც გაზაფხულს ნამდვილად მოიყვანს. ასე, რომ — მალე გაზაფხული მოვა!**

მანამდე კი, როგორც მეფე ერეკლეს უყვარდა — „ხმალი მაგ წუნკლებსო", მისი პერიფრაზით — ცოცხი მაგ წუნკლებს, ცოცხი!!!

**დავით მხეიძე**

**P. S. წერილი უკვე მზად მქონდა, როდესაც ნატოს გენმდივნის სკანდალურმა განცხადებამ, რომ იტყვიან, ცა და ქვეყანა შესძრა საქართველოში — ნატოს გენმდივნის შეშფოთებამ უკიდურესად აღაშფოთა ქართველი საზოგადოება!**

**რამ შეგაშფოთათ ასე ძლიერ, ბატონო ანდრეს? იმან, რომ ქართულმა ოცნებამ, როგორც იქნა დაიწყო ქართველი ხალხის უპირველესი მოთხოვნის, სამართლიანობის აღდგენა? ვისაა, რომ ესარჩლებით და რას აძლევთ პოლიტიკური ნიშნით დევნის კვალიფიკაციას, სადისტი მანიაკების დაპატიმრებას და ამ სადისტების წლების მანძილზე პროპაგანდისტი ტრუბადურის, ე.წ. ტელეარხ საზოგადოებრივ მაუწყებელში ფინანსურ შემოწმებას?**

**თქვენი და ზოგადად დასავლეთის შეშფოთება სად იყო, როდესაც წლების მანძილზე მართლაც პოლიტიკური ნიშნით გვდევნიდნენ, გვაპატიმრებდნენ, ციხეებში გვაწამებდნენ და ქუჩებში გვხვრეტდნენ!?**

**მაშინ თქვენ და თქვენნაირები, დემოკრატიაში წინ გადადგმულ ნაბიჯებზე და, აქედან გამომდინარე, საქართველოს ნატოში გაწევრების ახლო პერსპექტივაზე ლაყბობით აბოლებდით ქართველი საზოგადოების უჭკუო ნაწილს. იქამდეც კი, რომ ახალ-ახალ ტერმინებს იგონებდით — ჯერ „მაპზე უკეთესი" მოგვეცით და შემდეგ ასპირანტებიც გაგვხადეთ.**

**საინტერესოა თქვენი შეფასება ახლახან სექსუაური სკანდალის გამო ცეერუს შეფის დევიდ პეტრიუსის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ — ნუთუ არაფერი გსმენიათ ჩვენი პრეზიდენტის აღვირახსნილი სექსუალური ორგიების შესახებ?**

**ან იტალიის ყოფილი პრემიერის სილვიო ბერლუსკონის საციხედ გამზადების მიმართ რას იტყვით — ესეც პოლიტიკური ნიშნით დევნაა?**

**ან, რა ნამუსით ლაპარაკობთ თქვენ და თქვენნაირები დღემდე ჯიუტად, რომ თურმე საქართველოში 1 ოქტომბრის არჩევნები დემოკრატიულად ჩატარებულა, რასაც სააკაშვილს და მის რეფორმებს მიაწერთ, როდესაც მსგავსი არადემოკრატიული არჩევნები თვით მიშნაცების ფაშისტურ რეჟიმსაც კი არ ახსოვს — ხაშურის კადრები მაინც არ გინახავთ?**

**მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, ბატონო ანდრეს? როგორც ჩანს, ზემოთ, წინამდებარე წერილის მთავარ ნაწილში თქმულის მსგავსად, ფაშისტი ნაცების არ იყოს, თქვენც და თქვენნაირებსაც მსგავს გამოხდომებზე მხოლოდ ერთი სიტყვით, „ცოცხით" უნდა გიპასუხოთ. სხვანაირად უაზრობაა საუბარი, რადგანაც გამოვა, რომ აქლემები არა ვართ, იმას გიმტკიცებთ!**

**აქლემები რომ არ ვართ ქართველები და, პირიქით, თქვენ და ზოგადად დასავლეთი ხართ სირაქლემა, ამაში, ვფიქრობ, საკუთარ ფეისბუკის გვერდზეც დარწმუნდით, მისტერ რასმუსენ! ფეისბუკით, რომელიც აჭრელდა ქართული შრიფტით და თქვენ წარმოიდგინეთ შესაფერისი ანდაზებითაც კი. რომელთაგან ერთ-ერთს მეც მოგახსენებთ — „ყველამ თავის ბოზ მამიდას მოუაროს!" უშვერი სიტყვებით, ქართული მამაპაპური სამსართულიანი „მოფერების" ციტატებს აღარ მოვიყვან, რომლებითაც ასევე უხვად არის გაჯერებული თქვენი ფეისბუკის გვერდი, რამაც გაიძულათ (ალბათ გირჩიეს და შემდეგში „შეარბილეთ") ნატოს გენმდივნის პირველი განცხადება, რომლის მსგავსი კომუნისტების გენსეკებსაც არ უკადრიათ!..**

**ჩვენ კი, კიდევ დავიჭერთ „პოლიტიკური ნიშნით" ნაციონალ-ფაშისტების მაღალჩინოსნებს და ბოლოს დემოკრატიის შუქურა სააკაშვილსაც მივწვდებით, რადგანაც ეს, მისი უდიდებულესობა ქართველი ერის ნებაა და ვინც ამ ნებას შინ თუ გარეთ წინ აღუდგება — ცოცხი მაგ წუნკლებს, ცოცხი!!!**

**დ. მ.**

## ზემოქმედება

# პრეზიდენტი როგორ გავიყოთ?!




**ნოემბრის სუსხიანი დილაა. ქუთაისის შენობადაუმთავრებელი პარლამენტისკენ ორნი მიიჩქარიან; ერთი — მელოტი, აყლაყუდა ნაციონალი და მეორე — ჩაფსკვნილი, თმაქოჩორა მეოცნებე. კანონმთხზველები უცებ შეჩერდნენ და ერთმანეთს შეუტიეს:**

— შენ ეი, — აყვირდა მელოტი, — ბუღასავით რო მაწვები, ცოტა გაიწიე, თორემ ლამის ჭადარს შევეჯახე.

— ღირსი ხარ და გაწვები! — ხმას აუწია ქოჩორამაც.

— რატო, ძმაო, რა დაგიშავე?

— ისა, რომა ქოსატყუილა გამოდექი.

— რა მოვიტყუე?

— ქვეყანას ავაშენებო, გვპირდებოდი, სინამდვილეში კი დაანგრიე.

— თქვენ ხო, რას ამბობ, ერთბაშად აგვაშენეთ.

— გვაცალეთ, ბატონო და ავაშენებთ.

— თუ ძმა ხარ, რისი ამშენებლები ხართ, ჯერ არ მოსულხართ და უკვე დაჭერებზე გადახვედით.

— დაჭერებზე? თქვენ გვსაყვედურობთ ამას, რომლებმაც მთელი ქვეყანა ციხეში გამოამწყვდიეთ?

— ჩვენ დამნაშავეებს მაინც ვიჭერდით, თქვენ კი მოხვედით თუ არა, მაშინვე გმირებს დაერიეთ.

— რომელ გმირებზე მელაპარაკები, საკუთარ მეომრებს ტყვეებივით რომ ექცეოდნენ?

— როგორ ექცეოდნენ, ეგ კიდევ საკითხავია, რეალობა ის არის, რაც ამ დღეებში რასმუსენმა გააჟღერა.

— მაინც რაო, — რასმუსენმა?

— ისაო, რომ აღშფოთებული ვარო. კარგია, რომ საქართველოში არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა, მაგრამ ცუდია, რომ ახალი ხელისუფლება პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრებებზე გადავიდაო.

— რასმუსენს ხომ არ დაესიზმრებოდა ჩვენი ამბავი, ჩემო ძმაო, მან ისა თქვა, რაც სააკაშვილმა მასთან შეხვედრისას იტლიკინა.

— მერედა, თქვენ თუ მაგრები ხართ, რასმუსენმა რაღა სააკაშვილის ტლიკინს დაუჯერა და არა ივანიშვილის დასაბუთებულ მტკიცებას?

— იმიტომ, რომ სააკაშვილი რასმუსენს ივანიშვილზე ადრე შეხვდა და, როგორც სჩვევია ხოლმე, ნატოს თავკაცი პიარ-ტყუილებით გაბერა.

— მაგით იმის თქმა გინდა, რომ სააკაშვილის ტყუილმა ივანიშვილის სიმართლეს აჯობა? რო დამარცხდით, გაჩუმდი მაინც და შვინდა მოზვერივით აქეთ ნუღარ მაწვები...

ამ ამბიდან მეორე დღეს ნაცნობ პოლიტოლოგს შევჩივლე: თუ ძმა ხარ, იქნებ შენ მაინც მოიფიქრო, რა შეიძლება მოვუხერხოთ ამ მატყუარა და ცრუპენტელა ნაციონალებს, რომლებიც ჯერ იმაში გვარწმუნებდნენ, რუსეთთან წაგებული ომი მოვიგეთო, ახლა კიდევ ხალხის არჩეულ ხელისუფლებას იმას ედავებიან, თქვენი უნიათობით ქვეყანას ნატოში შესვლის შანსი დააკარგვინეთო.

— მიზეზად რას ასახელებენ?

— ნაციონალებზე ზეწოლას, ქვეყნისათვის გამორჩეული გმირების — ბაჩო ახალაიასა და გიორგი კალანდაძის უსამართლოდ დაპატიმრება-დადანაშაულებას.

— მაგაზე არ იჯავროთ, — დამამშვიდა პოლიტოლოგმა, — მალე გვეშველება, შეიძლება ითქვას, უკვე მოფიქრებულიცა მაქვს.

— რას გულისხმობთ, ახალ რევოლუციას?

— არა, რევოლუციები აღარ გვინდა, სასწრაფოდ უნდა გადავიტანოთ! — თქვა მტკიცედ.

— პარლამენტი? აკი უკვე ქუთაისში გადავიტანეთ?

— პარლამენტი არა, მაგრამ შეიძლება თავად ქუთაისი გადავიტანოთ.

— სადა, კაცო, კახეთში?

— კახეთში როგორ გადავიტანთ, როცა კახეთიც თავად გადასატანია.

— აბა სამეგრელოში?

— კი არ გეხუმრები, შე კაცო, — მითხრა მთელი სერიოზულობით, — თუ გაერო და ევროკავშირი დავითანხმე, შეიძლება საქართველო სულაც სხვაგან გადავიტანოთ.

— სადა, ევროპაში?

— არა, თავიდან ევროპაში ვფიქრობდი, მაგრამ იქ ძალიან დიდი სიმჭიდროვეა და არ გამოვა.

— აბა ჯუნგლებში რა გვინდა?

— რატომ ჯუნგლებში, სადმე ამერიკის სიახლოვეს, ნავთობით მდიდარ რომელიმე კუნძულზე.

— კეთილი, მაგრამ ასე ერთბაშად როგორ გადავალთ?

— რატომ ერთბაშად, ქუთაისელებს რომ არ ეწყინოთ, ჯერ თბილისი გადავიტანოთ, და მერე დანარჩენი ქალაქები და რეგიონები.

— მაგრამ ნაციონალებმა რომ უარი გვტკიცონ, მერე რა ვქნათ?

— თავიანთი წილი ქვეყანა დავუტოვოთ და ჩვენ გადავიდეთ.

— პრეზიდენტი? ის ხომ ორივეს გვეკუთვნის — ნაციონალებსაც და მეოცნებეებსაც.

— გამოსავალი მანდაც მოიძებნება, სულაც ავდგეთ და პრეზიდენტი შუაზე გავიყოთ. სააკაშვილს მართალია ჭკუის სიჭარბეს ვერ დავწამებთ, მაგრამ სიგრძეში ორი პრეზიდენტი თავისუფლად გამოიჭრება. თუ ამაზე არ დაგვთანხმდა, მაშინ იპროწიალოს წალმაუკუღმა, რა გვენაღვლება!

— მე შენ გეტყვი, თვითმფრინავები შემოაკლდება. თუმცა ივანიშვილმა ისე შეუმცირა საწვავის ხარჯები, ამიერიდან ფეხს ველარსად გადაადგამს.

— მაგ საქმეში ნატო დაგვეხმარება. რასმუსენი დაპირებულ მაპს თუ მოგვცემს (ბოლოს და ბოლოს, მოგვაჩეჩებს, აბა რა იქნება!), როგორ ფიქრობ, ივანიშვილი პრეზიდენტს თვითმფრინავში ბენზინს სიხარულით არ ჩაუსხამს? თანაც, მაგის სიფრთხილის ამბავი რომ ვიცი, ამას ისე გააკეთებს, რომ მიშას ზეწოლაში არავინ დაადანაშაულოს(!)

**ოტია ჩართოლანი**

## ინფორმაცია

### „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონში ცვლილება შედის

**საჯარო სამართლის იურიდიული პირები ვალდებული ხდებიან, საბიუჯეტო პროექტები და საშტატო ნუსხები ფინანსთა სამინისტროსთან შეათანხმონ.**

**ფინანსთა სამინისტროს ავტორობითა და მთავრობის ინიციატივით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონს ემატება მუხლი, რომლის თანახმადაც, მთავრობას ენიჭება უფლებამოსილება, იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა ნუსხა განსაზღვროს, რომლებიც ვალდებული იქნებიან თავიანთი წლიური ბიუჯეტები და საშტატო ნუსხები ფინანსთა სამინისტროსთან შეათანხმონ.**

**გარდა ამისა, ამავე კანონპროექტით განისაზღვრება, რომ მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელი იქნება ამ ორგანიზაციების ანგარიშებზე არსებული თავისუფალი ნაშთის სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვა. როგორც მთავრობა განმარტავს, აღნიშნული ცვლილება გავლენას მოახდენს ბიუჯეტზე და მის საშემოსავლო ნაწილს გაზრდის.**

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი უკვე პარლამენტშია და მისი განხილვა 2013 წლის საბიუჯეტო პროექტთან ერთად წარიმართება.**

**ინტერპრესი**

## მხილება

# როლანდ ახალაიას მიერ შეთითხნილი „სამართალი“

**სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილმა საოლქო პროკურორის მოადგილემ, ამჟამად ადვოკატმა მებრძოლ ჭკადუამ საქართველოს იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს გაუგზავნა იმ უდანაშაულო მსჯავრდებულების ვრცელი სია, რომელთათვის გამოტანილი უკანონო განაჩენი დაუყოვნებლივ საჭიროებს გადასინჯვას, გაუქმებას და უდანაშაულოთა გამართლებას. ხალხის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობები არავის არ უნდა შერჩეს! განსაკუთრებით მინდა შევეხო იმას, რაც ხდებოდა სვანეთში მცხოვრებთა მიმართ იმ პერიოდში.** ხელისუფლების მიერ სვანები — ეს თავისუფლებისმოყვარე, მტკიცე ნებისყოფის ადამიანები სპეციალურად რომ იყვნენ სამიზნედ ქცეულნი, რათა ჩაეკლათ მათში ეს სიამაყე — აცხადებს მებრძოლ ჭკადუა. მისი თქმით, ყველაფერი დაიწყო 2004 წლის მარტში აფრასიძეების ოჯახზე თავდასხმით და ოჯახის ამოწყვეტით. „ეს იყო ერთ-ერთი რგოლი იმ უწყვეტი ჯაჭვისა, რომელიც მიზნად ისახავდა სვანი ხალხის დაშინებას და სულიერ გატეხას. აფრასიძეების ოჯახის განადგურებას მოჰყვა სხვა არანაკლებ სასტიკი მოქმედებები, ბევრი ოჯახი გაანადგურეს, ახალგაზრდები გამოამწყვდიეს საპყრობილეში, სადაც ბევრი მათგანი დაიღუპა კიდეც...

ადვოკატი ასევე იხსენებს სხვა ფართომასშტაბიან ოპერაციას სვანეთში, რომელიც 2005 წლის ოქტომბერში ჩაატარა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოსა და სპეცდანიშნულების რაზმ „ალფასთან“ ერთად. ღამით ალყაში მოაქციეს დაბა მესტია და მისი მიმდებარე ტერიტორია. მიზეზი თითქოსდა გამართლებული იყო — ბრძოლა ნარკოდანაშაულთა წინააღმდეგ და ცეცხლსასროლი იარაღის ამოღება. ამ ოპერაციას შეეწირა ბევრი უდანაშაულო ადამიანი: ბ.უშხვანი, ზ. ნიგურიანი, ზ.შამფრიანი, კ.ფარჯიანი, ა.ჯაჯვანი. ეს იყო იმ პოლიტიკის გაგრძელება, რაც დაიწყო აფრასიძეების ოჯახზე მოწყობილი თავდასხმით, განაცხადა მებრძოლ ჭკადუამ. მისივე განმარტებით, ასეთივე მიდგომა იყო ნორა არღვლიანის მიმართაც. „როგორც ნ.არღვლიანის დამცველი, მეც ვღებულობდი მონაწილეობას და ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, თუ რისთვის დააპატიმრეს ეს ქალბატონი. რატომ და რისთვის მიესაჯა ექვსი წელი, მაგრამ თავიდანვე აშკარა იყო, რომ ნორა არღვლიანის ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი. იგი აუცილებლად უნდა მოთავსებულიყო საპყრობილეში და თანაც ხანგრძლივი ვადით — განმარტავს მებრძოლ ჭკადუა.

ალმაშფოთებელია ზუგდიდის რაიონული სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილი უკანონო განაჩენები ზუგდიდელი ნაპო გაბისონიასა და მისი ადვოკატის ჯონი ზარანდიას მიმართ. ამ სასამართლოებმა ზედმიწევნით შეასრულეს სამეგრელო-ზემო სვანეთის მაშინდელი საოლქო პროკურორის როლანდ ახალაიას დავალება. ამ პირების ადვოკატ მებრძოლ ჭკადუას განცხადებით, ნაპო გაბისონიამ 1996 წელს შეისყიდა ს/ს „ზუგდიდსოფლტექნიკა“, რომელიც, როგორც წარმოება უმძლავრესი იყო დასავლეთ საქართველოში. იგი აწარმოებდა სვანეთის სატყეო მეურნეობიდან ხე-ტყის შესყიდვას, მის დამუშავებას და რეალიზაციას. „საქციო საზოგადოების წარმატებული საქმიანობა თვალში არ მოსდიოდათ მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს და დაიწყო ნაპო გაბისონიას დევნა-შევიწროება. მიზანი მაშინვე გამოიკვეთა: როგორმე ხელში ჩაეგდოთ ეს წარმოება. ეს მიზანი სისრულეში მოიყვანა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორმა როლანდ ახალაიამ ზუგდიდის რაიონული სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ხელშეწყობითა და მხარდაჭერით. შექმნეს სასაქონლო და საბუღალტრო ექსპერტიზის ყალბი დასკვნები და საოლქო პროკურატურამ ჩამოაყალიბა ყალბი ბრალდებები და ნაპო გაბისონიას, ჯერ ზუგდიდის, შემდეგ კი ქუთაისის სასამართლომ სასჯელის ზომად განუსაზღვრა 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა 10 000 ლარი, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით კიდევ დააკისრა ჯარიმის გადახდა 5000 ლარის ოდენობით. იგი დაკავებულია, სასჯელს იხდის 2007 წლის აპრილიდან. სამეგრელოში შეწყალება ხდებოდა მხოლოდ იმ პირებისა, ვის შეწყალებასაც საჭირო ჩათვლიდა როლანდ ახალაია და ამიტომაც ნაპო გაბისონიას ოჯახის წევრთა თხოვნა შეწყალების შესახებ უპასუხოდ რჩებოდა. მას საცხოვრებელი სახლიც ჩამოართვეს და მისი ცოლშვილი, შვილიშვილები ქუჩაში გაყარეს. ჩვენ მხოლოდ სიმართლის დადგენასა და ობიექტური დასკვნის გამოტანას ვითხოვთ და ეს უნდა მოხდეს ნაპო გაბისონიას სიცოცხლეში, რომელიც უკვე 77 წლისაა და ავადმყოფია, — თქვა მისმა ადვოკატმა მებრძოლ ჭკადუამ.



გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს ნაპო გაბისონიას ინტერესებს იცავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი, ადვოკატი ჯონი ზარანდია, რომელიც ასევე შეეწირა ამ საქმეს.

ჯონი ზარანდია წარდგენილ შუამდგომლობაში და საჩივრებში ამტკიცებდა, რომ იქმნებოდა ყალბი დოკუმენტები და დასკვნები, რომ ნაპო გაბისონია უკანონოდ იყო მსჯავრდებული. იგი საჯაროდ აცხადებდა, რომ საოლქო პროკურორის როლანდ ახალაიას ძალისხმევითა და ინიციატივით ხდებოდა ყოველივე ეს. ბუნებრივია, ეს მიულებელი აღმოჩნდა საოლქო პროკურატურისთვის და ნაპო გაბისონიას დაკავებიდან სამი წლის შემდეგ ზარანდიაც დააპატიმრეს და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს, — დასძინა მებრძოლ ჭკადუამ.

ყველა ეს სისხლის სამართლის საქმე და სხვა მრავალი შეთითხნილი, ფალსიფიცირებული საქმეები აუცილებლად უნდა გადაიხედოს და სამართლიანობა აღდგეს.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდიდან**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ◎ გვაქვს წინადადება

*იმ გეგმა-ჩანაფიქრის პროექტზე, რომელიც დღეს გვინდა გაგაცნოთ, ფიქრი დავიწყეთ 2003 წლის დასაწყისში, როდესაც საქართველოს პარლამენტის მაშინდელმა დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ მოუწოდა მოსახლეობას, მიეღოთ მონაწილეობა თავიანთი ქვეყნის აღმშენებლობაში და წარმოედგინათ საინტერესო იდეები და წინადადებები.*

*ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც ამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოში პირველად შეიცვალა ხელისუფლება მშვიდობიანი გზით, როდესაც სოფლის მეურნეობა ახალი მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.*

*თუმცა მანამდეც, პოლიტიკურ ავანსცენაზე კოალიცია „ქართული ოცნების“ გამოჩენის შემდეგ, ჩვენმა ოჯახმა გადაწყვიტა, დაეწყო მუშაობა საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტზე, რომლის ცალკეული ფრაგმენტები დღეს გვინდა შემოგთავაზოთ.*

# ასე გვესახება წინსვლის გზა

## რამდენიმე მოსაზრება და კონკრეტული წინადადება საქართველოს ეკონომიკური განვითარების საკითხებზე



### სოფლის მეურნეობა

რადგან სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალია, უწინარესად უნდა დავიწყოთ მისი აღორძინება, რაც უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად: სოფლებში, სადაც ცხოვრობს მინიმუმ 1000 (ათასი) კომლი მაინც, უნდა შეიქმნას აგროფირმები, იმ რაიონებში კი, სადაც ათასკომლიანი სოფელი იშვიათად არის, რამდენიმე სოფელი უნდა გაერთიანდეს ისე, რომ სულ მცირე ათასი კომლი იყოს გაერთიანებული ერთ აგროფირმაში. იმ სოფლებში კი, სადაც კომლთა რაოდენობა ოთხი ათასზე მეტია, შესაძლებელია შეიქმნას ორი აგროფირმა.

ისეთ მაღალმთიან რაიონებში კი, რომელთა სოფლებშიც ცხოვრობს მხოლოდ ხუთი, ათი და ოცი კომლი, აგროფირმები ვერ გაამართლებს, წამგებიანი იქნება მუშახელის სიმცირის გამო. ამიტომაც ასეთ რაიონებში კერძო სექტორში, უნდა განვითარდეს მეცხოველეობა.

სოფლებში აგროფირმების შექმნისას არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს არანაირი კერძო საკუთრების ხელყოფა. აგროფირმაში ხალხი ნებაყოფლობით უნდა გაერთიანდეს.

აღნიშნული აგროფირმები აუცილებლად უნდა იყოს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში, რადგან მათს პრობლემებს სახელმწიფო უფრო სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტს, ვიდრე ამ აგროფირმების კერძო მესაკუთრეები. პრობლემებში იგულისხმება: აგროფირმებში არსებული ფინანსური პრობლემები, მაგალითად, წარსულში, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო, საზღვარგარეთ კერძო მესაკუთრეების დაქვემდებარებაში არსებული ზოგიერთი კომპანიის და საწარმოს გაკოტრება, ბევრი მათგანის გაკოტორების პირამდე მისვლა და ა. შ.

განვიხილოთ ერთი აგროფირმის ტექნიკით დაკომპლექტება კახეთის მაგალითზე. თუ აგროფირმას დიდი რაოდენობით სახნავ-სათესი ფართი აქვს, მას უნდა ჰქონდეს:

1) სულ მცირე საბურავებიანი ტრაქტორი თავისი ყველა საოპერაციო ატრიბუტით (ბელარუსი ან მისი ანალოგი).

2) თუ აგროფირმას აქვს ვენახი, მას სჭირდება იმდენი ტრაქტორი რიგთაშორისების მოსახნავად, რამდენი ჰექტარი ვენახიც აქვს, ასევე სათანადო რაოდენობის ტრაქტორები – ვენახების შესაწამვლად, სახნავად შესაბამისი მარკის მუხრუჭებიანი ტრაქტორი (ორი), სატვირთო ავტომობილი (ორი), მათ შორის ერთი თვითმცლელი. ასევე, მძიმე სატვირთო ავტომანქანა (ორი), მოსავლის ასაღებად კომბაინი (ორი). აგროფირმის ხელმძღვანელს უნდა ემსახურებოდეს ორხიდიანი ავტომანქანა.

> **უმჯობესია, ყველა აგროფირმას ჰქონდეს საკუთარი ავტოპარკი და სატრაქტორო პარკი. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში უნდა აშენდეს მანქანებისა და ტრაქტორების სარემონტო ქარხნები. კერძოდ, საწყის ეტაპზე ერთი – დასავლეთ საქართველოში, მეორე – აღმოსავლეთ საქართველოში.**

კახეთის რეგიონის მსგავსად იმერეთის რეგიონშიც საჭიროა იგივე რაოდენობის ტექნიკა მიწის დასამუშავებლად. თუმცა, კახეთის რეგიონისგან განსხვავებით, იმერეთის რეგიონში მთაგორიანი რელიეფის გამო საჭირო არ იქნება დიდსაბურავებიანი ტრაქტორი (XTZ 150 ან მისი ანალოგი). მას ჩაენაცვლება ორი მუხლუხებიანი ტრაქტორი.

უმჯობესია, ყველა აგროფირმას ჰქონდეს საკუთარი ავტოპარკი და სატრაქტორო პარკი. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში უნდა აშენდეს მანქანებისა და ტრაქტორების სარემონტო ქარხნები. კერძოდ, საწყის ეტაპზე ერთი – დასავლეთ საქართველოში, მეორე – აღმოსავლეთ საქართველოში.

როდესაც ქვეყანაში შეიქმნება მყარი საკვები ბაზა, თავისუფლად შეიძლება მეცხოველეობის განვითარება.

ნებისმიერ რაიონში უნდა შეიქმნას იმდენი აგროფირმა, რამდენი ჰექტარი ფართობიც არის აღნიშნული რაიონის სახელმწიფო დაქვემდებარებაში. თითოეულ აგროფირმას უნდა ჰქონდეს მინიმუმ 15-20 ათასი ჰექტარი ფართობი.

ქვეყნის იმ რეგიონებში, სადაც ნალექების წლიური რაოდენობა ძალიან მცირეა, უნდა გაკეთდეს სარწყავი სისტემები და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჩამოყალიბდეს აგროფირმები.

ისეთ რაიონებში, სადაც არის დაჭაობებული ადგილები, ისინი უნდა დაშრეს, ე. ი. უნდა ჩატარდეს მელიორაციული სამუშაოები.

თუ გლეხი თავისი ნებასურვილით უსასყიდლოდ გადასცემს თავის მიწის ნაკვეთს აგროფირმას, აგროფირმამ მას ყოველწლიურად ამ მიწის ნაკვეთიდან მოწეული მოსავლის ერთი მესამედი უფასოდ უნდა გადასცეს.

თუ გლეხი თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთს მიჰყიდის აგროფირმას, მაშინ აგროფირმა ამ ნაკვეთებიდან მოწეულ მთლიან მოსავალს დაიტოვებს თავისთვის.

ამ პროექტის განხორციელებით დასაქმდება სოფლის უმუშევარი მოსახლეობა.

უწინარესად, უნდა შეიქმნას აგროფირმის აპარატი, რომელშიც დასაქმდება მინიმუმ შვიდი კაცი. მათ უნდა უზრუნველყონ მომავალი დასაქმებული ხალხის გადანაწილება სხვადასხვა ობიექტებზე. აპარატის შექმნას სასწრაფოდ უნდა მოჰყვეს მექანიზატორების დასაქმება.

აგროფირმის აპარატი უნდა შედგებოდეს შემდეგი თანამშრომლებისგან: აგროფირმის დირექტორი, აგრონომი, მთავარი სპეციალისტი, ინჟინერ-მექანიზატორი და დაცვის ორი თანამშრომელი (აგროფირმის აპარატის თანამშრომლების რაოდენობა მთელ საქართველოში ერთნაირი უნდა იყოს).

აგროფირმამ უნდა აწარმოოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი.

ყოველივე ამის შემდეგ ვინმემ შესაძლოა, იკითხოს: კაპიტალიზმის პირობებში საწარმოები ხომ კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნით და სახელმწიფოს ხელში როგორ უნდა იყოს?

ამ კითხვაზე პასუხი ასეთია: ცნობილია, რომ ბევრ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში, მაგალითად, საფრანგეთში ქვეყნის წარმოების გარკვეული ნაწილი არის სახელმწიფოს დაქვემდებარებაში. ამიტომ ასეთი პროექტის განხორციელება ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელია.

### მრეწველობა (მძიმე მრეწველობა)

ქვეყნის მრეწველობის განვითარებისთვის საჭიროა ქართულ-უცხოური საწარმოების შექმნა. ასე, მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ბაზაზე, მისი სათანადო რეკონსტრუქციის შემდეგ, კარგი იქნება, რომ შეიქმნას ქართულ-გერმანული საწარმო. ამისთვის საჭიროა, ჩვენი თანამემამულეების ერთი ჯგუფი გავაგზავნოთ გერმანიაში სტაჟირებაზე, რათა მათ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავად მოამზადონ ადგილზე მუშები.

> **ქვეყნის მრეწველობის განვითარებისთვის საჭიროა ქართულ-უცხოური საწარმოების შექმნა. ასე, მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ბაზაზე, მისი სათანადო რეკონსტრუქციის შემდეგ, კარგი იქნება, რომ შეიქმნას ქართულ-გერმანული საწარმო. ამისთვის საჭიროა, ჩვენი თანამემამულეების ერთი ჯგუფი გავაგზავნოთ გერმანიაში სტაჟირებაზე, რათა მათ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავად მოამზადონ ადგილზე მუშები.**

ახალი საავტომობილო ქარხანა, პირველ ხანებში გამოუშვებს მიკროავტობუსის კორპუსს. შემდეგ ძრავებით და ელექტროგაყვანილობით მოამარაგებს მერსედესის ავტოქარხანა გერმანიიდან.

ამის შემდეგ, ავტომანქანის კორპუსი, საბურავები, ხიდები, ძრავები, ელექტროგაყვანილობა, ფარები და ა. შ. ყველაფერი უნდა დამზადდეს ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. მომავალში უნდა გაფართოვდეს ზემოთ აღნიშნული ქარხანა და აქ უნდა გამოუშვან როგორც მიკროავტობუსები, ისე მსუბუქი ავტომანქანები, მძიმე სატვირთო ავტომანქანები და დიდი ავტობუსებიც (მერსედესის მარკის).

ასეთი უცხოური საწარმოების განვითარება საქართველოში მომგებიანია როგორც ქართული მხარისთვის, ვინაიდან იქმნება უამრავი სამუშაო ადგილი, ისე უცხოური მხარისთვის – ამ შემთხვევაში ინვესტორისთვის: თუ გერმანიაში ქარხნის მეპატრონემ მუშას უნდა გადაუხადოს თვეში 3 ათასი დოლარი, საქართველოში ინვესტორი ქართველ მუშას გადაუხდის 700 დოლარს. ე. ი. ინვესტორს ყოველ ერთ მუშაზე რჩება ორი ათას სამასი დოლარი. განსხვავება ინვესტორის მოგებაა.

ასეთნაირადვე საქართველოში, თბილავიამშენის ქარხნის ბაზაზე, შეიძლება შეიქმნას, მაგალითად, ქართულ-ამერიკული საწარმო. რა თქმა უნდა, მისი სათანადო რეკონსტრუქციის შემდეგ. ყველაფერი შეიძლება განვითარდეს ისე, როგორც ქართულ-გერმანული საწარმოს შემთხვევაში.

ანალოგიურად შეიძლება გაკეთდეს ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის რეკონსტრუქცია. ასევე უნდა შეიქმნას ქართულ-უცხოური ერთობლივი საწარმოები ადგილობრივი ქარხნების რეკონსტრუქციის ბაზაზე, რომლებიც დაამზადებენ: ჩარხებს, კომბაინებს, გემებს. აუცილებლად უნდა ამუშავდეს სრული დატვირთვით რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ანალოგიურად.

მეტალურგიულმა ქარხნებმა გამართულად უნდა იმუშაონ, ამისათვის აუცილებლად საჭიროა მანგანუმი. ამიტომაც ყურადღება უნდა მიექცეს ჭიათურმანგანუმის სრული დატვირთვით ამოქმედებას. რა თქმა უნდა, უცხოელი ინვესტორის თანადგომითა და დახმარებით. ამავე დროს, უნდა დაიწყოს მანგანუმის მოპოვება თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ჩხიკვთაშიც.

### მსუბუქი მრეწველობა

მძიმე მრეწველობის ანალოგიურად უნდა განვითარდეს მსუბუქი მრეწველობაც და სხვა დარგებიც.

ვთხოვთ საქართველოს ხელისუფლებას, მხარი დაგვიჭირონ ამ პროგრამის განხორციელებაში.

**იოვანე აბულაშვილი,**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, პროექტის ავტორი;

**გიორგი აბულაშვილი,**
ვეტერინარი ექიმი, მწერალი, კონსულტანტი;

**ნათელა წერეთელი,**
ფილოლოგიის დოქტორი, მწერალი, კონსულტანტი.

*P. S. ჩვენს წინადადებებს გაეცნო გამოცდილი აგრონომი **ქარლო ჯანაშია**, რომლის დასკვნა-მოსაზრებებსაც ქვემოთ გთავაზობთ:*

*ნაშრომში ასახულია სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ეკონომიკის სხვა დარგების განვითარება-აღორძინების ხელშემწყობი წინადადებები. რაც უფრო ჩქარი ტემპით შესრულდება პროექტში დასახული მიზან-ამოცანები, მით უფრო მალე მოეღება ბოლო ქვეყანაში არსებულ სიღარიბეს, უმუშევრობას და სხვა პრობლემებს.*

*პროექტში ასახული ღონისძიებების შესრულებისთვის აუცილებელია მაღალკვალიფიციური, გამოცდილი სპეციალისტები, სხვადასხვა სახის მაღალი წარმადობის ტექნიკა, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები, სარგავი და სათესლე მასალა, მინერალური და ორგანული სასუქები, შხამქიმიკატები, მაღალმოსავლიანი და მაღალპროდუქტიული ჯიშების აღდგენა და ზოგის ახლით ჩანაცვლება, მეცხოველეობის დარგში – ძლიერი საკვები ბაზის შექმნა და სხვადასხვა სამშენებლო მასალა; ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სკითხის მოგვარება-შესრულებისთვის საჭიროა სოლიდური თანხები და, განსაკუთრებით, მათი სწორად ხარჯვა და გამოყენება;*

*ცხადია, პროექტში აღნიშნული მოსაზრებები საჭიროებს შესწორებებს, დამატებითი წინადადებების წამოყენებას, ზოგიერთი საკითხის პრაქტიკულად შემოწმებას, ვეტერინარი მოწინავე სპეციალისტების აზრების გამოყენებას და დანერგვას და სხვა.*

*ყოველივე ამის გათვალისწინებით მხარს ვუჭერ ამ წინადადებებს და ვისურვებდი მათს რაც შეიძლება სწრაფი ტემპით ხორცშესხმას.*



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი მზად არის, რომ განიხილოს ქართული ღვინის დაბრუნება

**რუსეთი და საქართველო მზად არიან, გადავიდნენ ქართული ღვინის რუსეთის ბაზარზე დაბრუნების შესახებ საკითხის პრაქტიკულ გადაწყვეტილებაზე, განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ანდრეი დენისოვმა.**

„თუ კონკრეტულ საქმეებზე ვილაპარაკებთ, საკითხი შეეხება ქართული მეღვინეობის პოზიციის აღდგენას ჩვენს ბაზარზე. ყოველ შემთხვევაში, არის ორივე მხარის მზადყოფნა პრაქტიკულად დაამუშაონ ეს საკითხი“, — თქვა მან.

ქართული ღვინის რუსეთში შემოტანის პირველი აკრძალვა შემოიღეს 2006 წელს. ოფიციალურ მიზეზად დასახელებული იყო ქართული პროდუქციის ხარისხი, მაგრამ თბილისში დარწმუნებული არიან, რომ რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკური იყო.



„ჩვენ ავკრძალეთ იმიტომ, რომ ქართველებს მუხრუჭებმა უმტყუნეს: ყალბი ღვინო აღმოჩნდა იმდენი, რომ მთელი ოლქი შეიძლებოდა მასში ჩაძირულიყო. ამ ბიზნესში შედიოდა ფულიანი ხალხი, აკეთებდა დიდ ფულს და შემდეგ ქრებოდა“, — უთხრა ამ დღეებში გაზეთ „იზვესტიას“ ინტერვიუში საზედამხედველო უწყების ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ.

ამ დროს მან არ გამორიცხა, რომ ქართული ღვინო მალე გაჩნდება რუსეთში. მისი მიწოდების მთავარ პირობად მან დაასახელა პროდუქციის ხარისხზე კონტროლის შესაძლებლობა.

„თუ მოგვცემენ შესაძლებლობას მივიდეთ ამ საწარმოებში, სავსებით შესაძლებელია, რომ ღვინო გაჩნდეს ჩვენს ქვეყანაში. რატომაც არა? კეთილი, ბატონო, ივაჭრონ. და იქნება არა ისეთი უგუნური და გაუკონტროლებელი მოცულობა, როგორიც იყო“, — დაუმატა მან.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ახალი მინისტრი დავით კირვალიძე ოქტომბერში აცხადებდა, რომ ქართული მხარე მზად არის, მიიღოს რუსი ექსპერტები ღვინის პროდუქციის ხარისხის შესასწავლად.

იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება ქართული ღვინის რუსეთის ბაზარზე დაბრუნების პროცესი, ბი-ბი-სის რუსულ სამსახურს უამბო ვაჭრობის ფედერალური და რეგიონალური ბაზრების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა ვადიმ დრობიზმა.

„რუსეთში შემოდის დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ, თუ როგორ ხარისხობრივ გარღვევას მიაღწიეს საქართველოს მეღვინეებმა და ღვინის შესაბამისმა ნიმუშებმა. ეს ყოველივე მოწმდება რუსეთში. ამის შემდეგ რუსი ექსპერტები მიემგზავრებიან ქარხნებში, ათვალიერებენ ვენახებს, მიდიან ლაბორატორიებში, ბრუნდებიან უკან და ღებულობენ გადაწყვეტილებას ქარხნების გარკვეული ჯგუფის პროდუქციის დაშვების შესახებ“, — განმარტავს ექსპერტი.

### უნიკალური პროდუქტი

2006 წელს აკრძალვის შემოღების შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ზარალი შეადგენს ათეულ მილიონობით დოლარს, მაგრამ შემდგომ ქართულმა კომპანიებმა შეძლეს გაეხსნათ ახალი საექსპორტო ბაზრები და გაეჯანსაღებინათ ღვინის სექტორი.

ამჟამად ქართული ღვინის ექსპორტი მსოფლიოს 48 ქვეყანაში ხდება.

„დიდი მადლობა „დედა რუსეთს“, ვინაიდან ეს ემბარგო ძალიან დაგვეხმარა ღვინის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით. ჩვენ ახლა ვიმყოფებით ისეთ მდგომარეობაში, რომ თუ ჩვენ ღვინოებს შეუშვებენ რუსეთში, კარგი იქნება, მაგრამ თუ არ შეუშვებენ — ამასაც არა უშავს რა, ბაზარი მთელს მსოფლიოშია“, — განაცხადა შარშან საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

სხვა აზრის არის საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი. მისი კოალიციის „ქართული ოცნების“ პარლამენტის არჩევნებში 1 ოქტომბერს გამარჯვების შემდეგ, ივანიშვილმა განაცხადა, რომ შეეცდება დააბრუნოს ქართული პროდუქცია რუსეთის ბაზარზე უახლოეს პერიოდში.

„ვფიქრობ, რომ რუსეთს ხელს არ აძლევს ასეთი ურთიერთობანი, და თუ ჩვენ დავიწყებთ აღდგენის პოლიტიკას ვაჭრობისა და კულტურულ ურთიერთობათა წინასწარი პირობების გარეშე, იმედი მაქვს, მივაღწევთ შედეგს“, — თქვა მან.

ვიქტორ დრობიზის აზრით, მიუხედავად ექსპორტის კარგი მაჩვენებლებისა, მხოლოდ რუსეთის ბაზარს შეუძლია ნამდვილად შთაუნერგოს სიცოცხლე ქართულ მეღვინეობას.

„უწინარეს ყოვლისა, ქართულ ღვინოს ელოდება საშუალო და უფროსი ასაკის ხალხი. ჩვენთვის ეს ღვინო მშობლიურია, — მიაჩნია ვადიმ დრობიზს. — ეს არის მეტად საინტერესო და უნიკალური პროდუქტი, რომელსაც შევეჩვიეთ საბჭოთა პერიოდში“. მაგრამ რუსეთში ქართული ღვინის რეალიზაციის ისეთი მოცულობები, როგორიც იყო აკრძალვის შემოღებამდე, უკვე აღარ იქნება, მიაჩნია ექსპერტს: „შეიძლება იმედი ვიქონიოთ ათ მილიონ ბოთლზე რამდენიმე წლის განმავლობაში, მაგრამ ქართული მხარისთვის ეს იქნება პრაქტიკულად ექსპორტის გაორმაგება“.

BBC RUSSIAN.com

# საქართველო წმენდამ მოიცვა

## დააპატიმრეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი რანგის ჩინოვნიკები

**საქართველოში გრძელდება წინა რეჟიმის ჩინოვნიკების დაპატიმრებები. გასულ ღამით დააპატიმრეს საკონსტიტუციო უსაფრთხოების დეპარტამენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი რიგი სხვა ქვედანაყოფების ხუთი მაღალი რანგის თანამშრომელი. მათ ბრალს სდებენ „სამსახურებრივ უფლებამოსილებათა გადაჭარბებაში“.**

ჩინოვნიკების დაპატიმრების შესახებ გვაცნობეს მათმა ადვოკატებმა. კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონსტიტუციო და ოპერატიული დეპარტამენტის მაღალი რანგის თანამშრომლების ლევან ქარდავასა და გიორგი ყაველაშვილის დამცველებმა განაცხადეს, რომ მათი კლიენტები გამოიძახეს საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაკითხვაზე წინა დღით. დაკითხვის შემდეგ რაც რამდენიმე საათი გრძელდებოდა, ჩინოვნიკები დააკავეს და მოათავსეს საგამოძიებო იზოლატორში.

ყველა მათგანს ბრალი ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებაში, მათ შორის, „თავისუფლების უკანონო აღკვეთასა“ და „სხვისი ქონების გაფუჭებაში“.

„საკითხი, ყოველივე სხვა რამის გარდა, შეეხება მიმდინარე წლის სექტემბერში ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მცველის ბესიკ სურმავას უკანონო დაკავებას, აგრეთვე, საზღვარზე ტერმინალის ქონების გაფუჭებას, რომელიც „ქართუ ჯგუფს“ ეკუთვნის“, — განაცხადა ადვოკატმა დავით ხაჟალიამ.

შეგახსენებთ, რომ ოპოზიციური ბლოკის „ქართული ოცნების“ ლიდერის, ამჟამად კი პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მცველი დაიკარგა 1 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე. მოგვიანებით ტელევიზიამ გადმოსცა ბესიკ სურმავას მიმართვა, რომელშიც ის აცხადებდა ბიძინა ივანიშვილისგან წამოსვლის შესახებ. ამავე დროს მან თითქოს გადასცა ჟურნალისტებს ოპოზიციის ლიდერების სატელეფონო საუბრების ფარული ჩანაწერები, რომლებიც მათ კომპრომეტირებას ახდენდნენ. სხვათა შორის, ოპოზიციის არჩევნებზე გამარჯვების შემდეგ ბესიკ სურმავა გამოჩნდა თბილისში. მან განმარტა, რომ იგი გაიტაცეს, ხოლო სკანდალური განცხადება გააკეთა ზემოქმედების ქვეშ მყოფმა.

ამ დროს დაპატიმრებანი შინაგან საქმეთა სამინისტროში პირველი შემთხვევა როდია. წმენდა მიმდინარეობს მთელ საქართველოში. მაგალითად, დაპატიმრებული არიან თავდაცვის ექსმინისტრი და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის უახლოესი თანამებრძოლი ბაჩანა ახალაია, რომელსაც ბრალს სდებენ სამხედრო მოსამსახურეთა წამებაში, აგრეთვე, ზოგიერთი სხვა ჩინოვნიკიც. დასავლეთში ამას მიიჩნევენ ახალი ხელისუფლების მიერ პოლიტიკურ ანგარიშსწორებად. 15 ნოემბერს თბილისში ჩადის ვიზიტით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ფილიპ გორდონი. ელოდებიან, რომ პრემიერ ივანიშვილთან მოლაპარაკების დროს დაისმება საკითხი დაპატიმრებათა კამპანიის შესახებ.

Коммерсантъ

# დედამიწის ზურგზე



**ჩინეთს რუსეთის ავიაძრავები აღარ ჰყოფნის: იგი მისჩერებია სამხედრო-საჰაერო ძალების უახლეს ტექნიკას და სურს ტექნოლოგიის მიღება**

ავიაძრავების წარმოების ტექნოლოგიას რუსეთი ჩინეთს არ ჰყიდდა — მათ დამუშავებას ქვეყანა ცდილობს დამოუკიდებლად, ამტკიცებს რუსეთის თავდაცვის ექსპორტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ჩინურ დამუშავებათა ხარისხის შეფასება მან ვერ შეძლო — რუს ექსპერტებს შემოწმებაზე არ უშვებენ. არის ვერსია, რომ ზოგიერთი ტექნოლოგია შეიძლება მოპარულიც კი იყოს.



**შოტლანდიაში გაჩნდა ადამიანი-ჟირაფი, რომელიც მოგზაურობს და სიკეთეს თესავს**

უმუშევარი არმსტრონგ ბეილი მიიჩნევს, რომ მისი ქვეყანა ამჟამად ცუდ დღეშია და ხალხს მხარდაჭერა სჭირდება. ის მოგზაურობს შოტლანდიაში დედის მიერ შეკერილ კოსტიუმში, უკრავს დოლზე, ელოდება, რომ გამვლელები მას გაუღიმებენ და დაუტოვებენ ხურდა ფულს. შეგროვებულ ფულს ის კეთილ საქმეს ახმარს — მაგალითად, გასცემს უფასო ყავას.

**ისრაელი მზად არის, გააფართოოს ოპერაცია მოთარეშეთა წინააღმდეგ ღაზის სექტორში: სამხედრო-საჰაერო ძალების დარტყმის შემდეგ შეიძლება დაიწყოს სახმელეთო შეტევა**

ოთხშაბათის შემდეგ, როდესაც ისრაელელებმა თავისი ქალაქების მისამართით სროლის გაძლიერების პასუხად დაიწყეს ოპერაცია „ცეცხლის გოდოლი“, მათ დარტყმა მიაყენეს ასზე მეტ მიზანს ღაზის სექტორში.



იტყობინებიან შორსმსროლელი რაკეტების დიდი ნაწილის განადგურების შესახებ, რომლებსაც შეეძლოთ მიფრენილიყვნენ თელ-ავივამდე. გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა დამთავრდა მოწოდებით, შეწყვიტონ ძალადობა, მაგრამ ყოველმა მხარემ ეს თავისებურად გაიგო.

**ავსტრალია პატივს მიაგებს „2013 წლის შიშველ მის მსოფლიოს“, 36 წლის დედამ გახსნა თავისი საიდუმლოებანი**



ამ 49-ე კონკურსის შედეგები შეაჯამეს ამერიკის ქალაქ კოლამბუსში (ოჰაიოს შტატი) ერთი თვის წინათ. შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობდა ოცი ქალი ავსტრალიიდან, კანადიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ისინი უჩვენებდნენ თავიანთ ეროტიკულობას, გამოდიოდნენ ღია ტანსაცმელში და რთული რეკვიზიტებით.

**ყველაზე საყიფათო ტერორისტების სიაში ბინ-ლადენის ადგილი დაიკავა ამერიკელმა სომალიელმა რეპერ-ჯიხადისტმა**

ომარ შაფიკ ჰამამის გამოძიების ფედერალური ბიურო ეძებს 2007 წლიდან, მაგრამ ახლა ის მოხვდა ყველაზე საშიში ტერორისტების ათეულში, ვინაიდან თავისი სიმღერებით ინგლისურ ენაზე მას შეუძლია ისლამისტების რიგებში მიიზიდოს ახალგაზრდობა. სპეცსამსახურების მონაცემებით, ჰამამი — „ალ-ყაიდას“ ერთ-ერთი დაჯგუფების ლიდერია სომალიში. იგი გახდა ტერორისტი ალაბამაში უზრუნველი ბავშვობის მიუხედავად.






PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

### ვეხმაურებით სატკივარს!

## ყმაწვილმა უნდა იცოდეს, საცნობლად თავისადაო...

**თქვენს** გაზეთში ( № 218. 2012 წ. 13 ნოემბერი) დროული და საჭირო იყო ვილენ მარდალეიშვილის წერილი ოფიციალურ დოკუმენტში მამის სახელისა და ეროვნების ჩაწერის შესახებ.

სააკაშვილის ხელისუფლების დამხობის ერთადერთი უმთავრესი მიზეზი ისიც იყო, რომ მას ეროვნულობისა არაფერი ეცხო. ჰოდა, დღეს, როდესაც ეროვნულ მუხტს, დიახაც, ვგრძნობთ, ახალმა ხელისუფლებამ, სააკაშვილის მიერ ჩადენილი ათასი უმსგავსობა, სწორედაც რომ უნდა გამოასწროს.

მე ვიცი, რომ ჩვენს ქვეყანას დღეს ფინანსურად ძალიან უჭირს, მაგრამ არის პირველი რიგის საკითხები, რომლებიც ყოველ მიზეზგარეშე უნდა გადაიჭრას... მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფო, სადაც მოქალაქის ვინაობა, ან ეროვნების სადაურობა არ იყოს აღნიშნული, ჰოდა, ჩვენ, მცირე ერს, რატომ გვაქვს ასე ჰაიჰარად ყველაფერი მიტოვებული?!.

საწუხარ არს ესე!..

**რევაზ მიშველაძე**

### ბანკები

## ირგვლივ უკმაყოფილოთა წრე იკვრება

**მორიგი შეტევა უკვე ბანკების მიმართულებით იწყება. ბანკებს შიგნიდანაც უტევენ და გარედანაც. ბიზნესმენები კარგა ხანია, ამ საფინანსო ინსტიტუტების მიმართ პრეტენზიას გამოთქვამენ, ახლა კი ხმა თანამშრომლებმაც ამოიღეს.**

**„საქართველოს ბანკის“ თანამშრომლები ძალიან ცუდ პირობებში ვართ. კერძოდ, მეტროს და ექსპრეს მოლარე-ოპერატორებს გვაიძულებენ მომხმარებლებზე რაც შეიძლება მეტი 200-ლარიანი სესხი გავცეთ, ხოლო მეტროს სერვისცენტრებს გვამუშავებენ გადაჭარბებული გრაფიკით. შაბათ-კვირას 6-ზე ვასრულებთ მუშაობას, მაგრამ 8-მდე (ზოგჯერ უფრო გვიანაც) გვიწევს სერვის ცენტრში ყოფნა იმის გამო, რომ ინკასაცია იგვიანებს.**



**დილითაც, ნაცვლად 10 საათისა, აუცილებლად უნდა გამოვცხადდეთ 9 საათზე. ხელშეკრულებაში, რაზეც მოგვაწერინეს ხელი, წერია, რომ თანამშრომელი ვალდებულია 15 წუთით ადრე გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე, იმავდროულად, 15 წუთის მერე დატოვოს სერვის ცენტრი. დეპარტამენტის უფროსმა ირინა ქვათაძემ ამ თემაზე საუბრისას დაახლოებით 5 თანამშრომელი დაითხოვა იმ მოტივით, რომ ეს ჩვენი საქმე არ იყო.**

**თვეში დაახლოებით 24 საათით მეტს გვამუშავებენ და ვართ ძალიან დიდ წნეხში, არაადამიანურ პირობებში, ნახეთ მეტრო დიდუბის სერვისცენტრი, მეტრო „მარჯანიშვილი“, მეტრო „პოლიტექნიკური“ (პეკინის მხარე) და ა.შ. ადამიანები ვართ, ბოლოს და ბოლოს, თუ ვირთხები?“**

**აი, ასეთ პირობებში მუშაობენ ქვეყნის წამყვანი ბანკის თანამშრომლები და რა გასაკვირია, თუ ფოთის პორტსა თუ ჭიათურმანგანუმში დასაქმებულები გაცილებით უარესს სამუშაო პირობებში არიან.** სწორედ ამგვარი დამოკიდებულების გამოისობით გაიფიცა ათასობით ადამიანი და თუკი დამსაქმებლები გონს არ მოეგნენ, სიტუაცია არც მომავალში დასტაბილურდება.

პროფკავშირებში ადასტურებენ, რომ ბანკების თანამშრომლები ხშირად გამოთქვამენ პრეტენზიებს არანორმირებულ სამუშაო დროსთან და დეკრეტული შვებულების დარღვევებთან დაკავშირებით, **„ჩვენ ბანკის თანამშრომლები პრეტენზიებით ხშირად მოგვმართავენ, მიუხედავად იმისა, რომ ბანკებში პროფკავშირები დღემდე არ ფუნქციონირებს,“** — აცხადებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი ირაკლი პეტრიაშვილი.

**„კომერსანტთან“ საუბრისას იგი ადასტურებს, რომ მსგავსი დარღვევებით განსაკუთრებით ხშირად „ლიბერთი ბანკის“, „საქართველოს ბანკისა“ და „თიბისი ბანკის“ თანამშრომლები მიმართავენ, თუმცა პროფკავშირების არარსებობის გამო მათი მხრიდან დახმარება ვერ ხერხდებოდა.**

„საქართველოს ბანკს, ჯერჯერობით, ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია, სამაგიეროდ, თავი გამოიდო საბანკო ასოციაციამ.

**ასოციაციის ხელმძღვანელის ზურაბ გვასალიას თქმით, მსგავსი პრობლემების შესახებ ინფორმაცია მას არ მისვლია და თუ ამ პიროვნების მიმართ მართლაც ირღვევოდა ხელშეკრულების პირობები, მას შეეძლო მისი გასაჩივრება.**

**ბანკებს მარტო თანამშრომლები არ უტევენ. მათ არაეთიკურ დამოკიდებულებაში ბევრი ბიზნესმენი ადანაშაულებდა და დღესაც ადანაშაულებს. „კავკასუს ონლაინის“ ყოფილი მფლობელი და არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართული ბიზნესის“ დამფუძნებელი მამია სანადირაძე ბანკებს სწორედ ასეთ მოპყრობაში ამხელს.**

**სანადირაძე პირდაპირ აცხადებს, რომ როდესაც ბიზნესზე შეტევა ხორციელდებოდა, ბანკები ბიზნესმენებს არაკორექტულად ეპყრობოდნენ. ამ ეტაპზე მამია სანადირაძე ბანკების დასახელებისგან თავს იკავებს, რადგან ბანკების ბრალეულობის საკითხს გამოძიება გაარკვევს და მხოლოდ ამის შემდეგ გახმაურდება იმ ფინანსური ორგანიზაციების სახელები, რომელთა მხრიდან ხისტ მიდგომას ჰქონდა ადგილი. საჩივართა უმეტესობა სასამართლოში უკვე შესულია და ნაწილსაც მომავალში შეიტანენ.**

**გიორგი ბექაური**

### უახლოესი წარსული

## მკერდდამძიმებული

**გასული საუკუნის 80-იან წლებში ასეთი ანეკდოტური ამბავი დადიოდა თბილისში. სასწრაფოდ უნდა გაფართოვდეს პეკინის ქუჩაზე (შემდეგ გამსახურდიას სახელი რომ დაარქვეს, მალე კი, ალბათ ჩინელების შემოსევის გამო, ისევ ძველი სახელი დაუბრუნეს და ახლაც პეკინის ქუჩაა) ერთ-ერთი სახლი, რომლის მთელ კედელს ეხატა უამრავი ჯილდოთი მკერდდამშვენებული ლეონიდ ბრეჟნევის უზარმაზარი პორტრეტი. რეკონსტრუქციის მიზეზად ასახელებდნენ, რომ მალე — დეკემბერში ბრეჟნევის დაბადების დღე იყო, ალბათ, კიდევ ერთი ორდენით ან გმირის ვარსკვლავით დააჯილდოებენ, მის მკერდზე კი ახალი ჯილდოს მოხატვის საშუალება აღარ არისო.**

ახლა არ დამიწყოთ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მკითხველებმა, ვინ იყო ბრეჟნევიო? თუმცა, არც გამიკვირდება, აი მისი გარდაცვალებიდან 30 წელი გავიდა და, შეიძლება, ბევრმა არც კი იცოდეს რამე მის შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი დაიბადა 1906 წლის 19 დეკემბერს ახლანდელ ქალაქი დნეპროძერჟინსკში მუშა-მეტალურგის ოჯახში. შრომითი საქმიანობა 15 წლიდან დაიწყო. 1927 წელს დაამთავრა კურსკის სამიწათმომწყობო-სამელიორაციო ტექნიკუმი. მუშაობდა მიწათმომწყობად ბელორუსიაში, შემდეგ კურსკის გუბერნიაში, ურალში, 1935 წელს დაამთავრა დნეპროპეტროვსკის მეტალურგიული ინსტიტუტი. იყო მეტალურგიული ქარხნის ინჟინერი, ტექნიკუმის დირექტორი, საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პარტიის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგე.

სამამულო ომის დროს მსახურობდა პოლიტმუშაკად სხვადასხვა ნაწილებში. იყო გამოჩენილი ქართველი მხედართუფროსის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის თანამებრძოლი მე-18 არმიაში, „მცირე მიწაზე“. ომის დამთავრების შემდეგ გაიგზავნა პარტიულ სამუშაოზე, იყო ზაპოროჟიესა და დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტების პირველი მდივანი, 1950 წელს გააგზავნეს მოლდავეთში პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. კომპარტიის XIX ყრილობაზე მისთვის მოულოდნელად ირჩევენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და თან ცკ-ს მდივნად. შემდეგ კი პრეზიდიუმის წევრად. იქ თავი დიდად არ გამოუჩენია, თუმცა, მაშინ სტალინს ერთხელაც არ მოუწვევია ახალი პრეზიდიუმის სხდომა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წელს მას თითქოს აქვეითებენ და ისევ აბრუნებენ არმიაში მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილედ, თან ანიჭებენ გენერალ-ლეიტენანტის წოდებას. 1954 წელს აგზავნიან ყაზახეთში ჯერ იქაური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე, შემდეგ კი პირველ მდივნად, ხელმძღვანელობდა ყამირის ათვისებას. 1956 წ. მოსკოვში აბრუნებენ პარტიის ცკ-ის მდივნად. მას იცნობენ, როგორც ძალზე მეგობრულ, გულღია ადამიანს, ხრუშჩოვის ერთგულ თანაშემწეს. თუმცა, შემდეგ ის გახდა ხრუშჩოვის გადაყენების მთავარი მონაწილე, 1964 წლიდან, მთელი 18 წელი იყო პარტიისა და ხელისუფლების სათავეში.

ლეონიდ ბრეჟნევი საბჭოეთის ისტორიაში ერთადერთი ხუთგზის გმირი იყო. მას მინიჭებული ჰქონდა ოთხგზის საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავი, ხოლო ერთხელ სოციალისტური შრომის გმირის წოდება — კოსმოსში საბჭოთა ადამიანის გაყვანის ორგანიზებისათვის. მისი ერთ-ერთი მთავარი ჯილდო იყო ორდენი „გამარჯვება“, რომელიც, როგორც ამბობენ, მას არაგზით არ ეკუთვნოდა. ამ ორდენით აჯილდოებდნენ საბჭოთა არმიის უფროს მეთაურთა შემადგენლობას ისეთი საბრძოლო ოპერაციების წარმატებით ჩატარებისათვის, რომელთა შედეგად ვითარება არსებითად იცვლებოდა საბჭოთა არმიის სასარგებლოდ. ბრეჟნევს კი ომის დროს არც ასეთი თანამდებობა ჰქონია და არც ასეთი დამსახურება. მისი გარდაცვალების შემდეგ გორბაჩოვის სპეციალური ბრძანებულებით მას ჩამოერთვა ოქროსა და პლატინისგან დამზადებული, თანაც 16-კარატიანი ბრილიანტებით მოოჭვილი ეს ძვირფასი ორდენი.

როგორც ისტორიკოსები წერენ, მისი სამხედრო ცოდნა „ძალზე სუსტი“ იყო. ბევრ საკითხს ის წყვეტდა არა როგორც პოლიტმუშაკი, არამედ როგორც სამეურნეო მუშაკი“.

უამრავ საბჭოთა და უცხოურ ჯილდოსთან ერთად მინიჭებული ჰქონდა მშვიდობის ლენინური პრემია, მეცნიერებათა აკადემიის კარლ მარქსის ოქროს მედალი, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსს, აგრეთვე ლენინური პრემია სხვა ავტორების მიერ მისი სახელით დაწერილი სამი ბროშურისთვის — „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“. 1976 წელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება, სამხედრო იერარქიაში მას გენერალისიმუსის წოდება დარჩა. თუმცა, როგორც ამბობენ, მას ამ სიტყვის სწორედ წარმოთქმაც არ შეეძლო.

არ დაგვავიწყდეს: ბრეჟნევის კისერზე იყო 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში ტანკების შეჭრის და 1979 წელს ავღანეთის დალაშქვრის ცოდვა..

ბრეჟნევს დიდად უტეხდა სახელს მისი ლოთი ქალიშვილის გალინას გამოხდომები.

საზოგადოებაში ბრეჟნევზე მრავალი ანეკდოტი ტრიალებდა. აი, ერთი მათგანი: საქართველოში ყოფნის დროს ძალზე მოეწონა თევზის კერძი „ცოცხალი“,



აუხსნეს, თუ როგორ მზადდებოდა, მან მოსკოვში დაბრუნების შემდეგ სწორედ „ცოცხალი“ მოითხოვა. მზარეულებმა თვალები დააჭყიტეს — ლენინის შეჭმა მოუნდომებიაო.

როდესაც ის პარტიის გენერალურ მდივნად აირჩიეს, ჰკითხეს — ამის შემდეგ როგორ მოგმართოთო. — „პროსტო, ილიჩი დამიძახეთო“ — იყო პასუხი.

ბრეჟნევი გარდაიცვალა დაბადების დღემდე თვითა და ცხრა დღით ადრე — 1982 წლის 10 ნოემბერს. ბევრს ახლაც ყურში ესმის ბრახუნი, კრემლის კედელთან მისი დაკრძალვის დროს რომ გაისმა, თურმე ჯარისკაცებს ხელიდან გაეშვათ, თუ გაუშვეს მისი კუბო. პეკინის ქუჩაზე სახლის რეკონსტრუქცია ჩაიშალა.

ერთიც, მისი პროცესიის წინ წითელი ატლასის ბალიშებით მისი ჯილდოები მიჰქონდა 200-ზე მეტ საპატიო ყარაულის ოფიცერს. ამბობენ, რომ სიკვდილის შემდეგ ბრეჟნევს მეექვსედ კიდევ მიენიჭა გმირის წოდებაო — 18 წლის შემდეგ, „კრემლის განთავისუფლებისთვის“.

მოამზადა
**ვალიკო სიმონიშვილმა**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ნდობა

# გამოცდილიც, პროფესიონალიც...



**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელად ნუგზარ კანდელაკი დაინიშნა.**

**ნუგზარ კანდელაკი და მისი ახალი მოადგილე ვახტანგ ასანიძე ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და მის დაქვემდებარებაში არსებული სამმართველოების თანამშრომლებს შეხვდნენ.**

მათ დეპარტამენტის სამომავლო საქმიანობისა და გეგმების შესახებ ისაუბრეს. ამჟამად, მთავარი ამოცანაა შემუშავდეს 2013 წლის ბიუჯეტი. ამ მიზნით, ახალი ხელმძღვანელობა გეგმავს, ჩაატაროს კვლევები და მიღებული შედეგების საფუძველზე ჩამოაყალიბოს ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები.

ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელები, ასევე შეხვდნენ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტური თვითმმართველობების წარმომადგენლებს და აღნიშნეს, რომ უახლოეს მომავალში ამ სფეროში რადიკალური ცვლილებები არ არის მოსალოდნელი.

ნუგზარ კანდელაკი თვლის, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ახალი სისტემის დანერგვა, რომელიც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტებს კოორდინირებული მუშაობის საშუალებას მისცემს. ამ საკითხზე იმუშავებენ, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები.

**გიორგი შოთაძე**

**სადარბაზო ბარათი**

**ნუგზარ კანდელაკი — სპეციალობით ისტორიკოსი (1977-1982 — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის ფაკულტეტი). 1990 წლიდან საქმიანობს საგანმანათლებლო სფეროში — თბილისის №6 საშუალო საავტორო სკოლა, დემირელის სახელობის თურქული კოლეჯი, გურამ რამიშვილის სახელობის თბილისის №20 საჯარო სკოლა (დირექტორი) და ასევე ჩართულია სპორტულ აქტივობებში — ბათუმის „ბასკოს“ საკალათბურთო კლუბი (მთავარი მწვრთნელი), აზერბაიჯანის უნივერსიტეტის საკალათბურთო კლუბი (მთავარი მწვრთნელი, აზერბაიჯანის ჩემპიონი), საქართველოს კალათბურთის ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებების მწვრთნელი.**

ფეხბურთი

# ესაა ნაკრები?!

**ქართული ფეხბურთის თვითმყოფადობასა და გამორჩეულ სტილზე, რომ ავკინძო, ტომებია დაწერილი. ჩვენი თანამემამულენი დღესაც ორიგინალურნი არიან, ოღონდ, სამწუხაროდ, იმ ზეფრთხილ ტაქტიკას, როგორითაც მათ თემურ ქეცბაია ათამაშებს, ანტიფეხბურთი უფრო ეთქმის.**

სეზონი ამაღლებულ ტონზე უნდა დავასრულოთ, გვაიმედებდა ეგვიპტელებთან ამხანაგური მატჩის წინ „ჯვაროსანთა“ თავკაცი, თუმცა, ვინც კარგად ვიცით მისი უსაფუძვლო ბაქიბუქის ამბავი, მაშინვე ვიგუმანეთ, რომ აფრიკის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან გამარჯვებაზე პრეტენზიის გამოთქმა მხოლოდ ოცნებას წარმოადგენდა, რაც, როგორც მოსალოდნელი იყო, აუხდენელი აღმოჩნდა.

**საქართველო — ეგვიპტე 0:0**

**საქართველო: ლორია, ლობჟანიძე, ამისულაშვილი, გრიგალავა, კვირკველია, კაშია, ძარია (გორგიაშვილი), გრიგალაშვილი (ქობალია), კობახიძე (გურული), თარგამაძე (ძალამიძე), დვალი (დვალიშვილი).**

რაც შეეხება სტუმართა შემადგენლობას, მის გაცნობას, ვფიქრობ, აზრი არა აქვს, რადგან ევროპულ კლუბებში გაფანტულ იქაურ ვარსკვლავთაგან თბილისში არავინ ჩამოსულა და ძნელი სათქმელია, ამერიკელმა მწვრთნელთა ბობ ბრედლიმ უსუსურ მაპინძელთა დაჯაბნა როგორი კალიბრის ექსპერიმენტული კრებულით მოახერხა.



საილუსტრაციოდ ერთ ფაქტს დავასახელებ: ეგვიპტელთა მეკარეს ელ-შენავის მთელი შეხვედრის განმავლობაში ერთხელაც კი არ მოუგერიებია ბურთი მაშინ, როცა მისმა კოლეგამ ლორიამ რამდენჯერმე იხსნა ხიფათისგან პარტნიორები, თუმცა საფინალო სასტვენის წინ, ტრადიციისამებრ, ცოტა ზედმეტი მოუვიდა, სა-



ჯარიმო მოედანი მიატოვა და დრიბლინგით გართულმა კინაღამ წყალში ჩაყარა საკუთარი ნაკაიკაცარი.

რაც შეეხება წერილის დასაწყისში ნახსენებ სეზონის ფინიშს, იგი ჩვენმა ნაკრებმა 3-3 მოგებითა და 2 ფრით დაასრულა. მე თუ მკითხავთ, ასეთი დაბალანსებული შედეგი არსებული კონტინგენტითა და მესაჭით დადებითად უნდა შეფასდეს. საკითხავია, ვის ვაყრით თვალში ნაცარს და რას ვპასუხობთ მის უდიდებულესობა გულშემატკივარს?

**დანარჩენი შედეგები:** იტალია — საფრანგეთი 1:2, ჰოლანდია — გერმანია 0:0, შვედეთი — ინგლისი 4:2 (მასპინძელთაგან ოთხივე გოლი ზლატან იბრაჰიმოვიჩმა გაიტანა, აქედან ბოლო — მაკრატელათი), პანამა — ესპანეთი 1:5, საუდის არაბეთი — არგენტინა 0:0, ჩეხეთი — სლოვაკეთი 3:0, კოლუმბია — ბრაზილია 1:1, რუმინეთი — ბელგია 2:1, რუსეთი — აშშ 2:2, სომხეთი — ლიტვა 4:2, გაბონი — პორტუგალია 2:2, პოლონეთი — ურუგვაი 1:3, მაკედონია — სლოვენია 3:2, ბულგარეთი — უკრაინა 0:1.

**გია პლატონიშვილი**

ჭადრაკი

# ჯერ არაფერი გადაწყვეტილა



**ქალთა შორის საჭადრაკო მსოფლიოს ჩემპიონატის მე-2 რაუნდი ქართველ მონაწილეთათვის წარუმატებლად დაიწყო. შეგახსენებთ, რომ 32 საუკეთესოში გასვლა მხოლოდ ლელა ჯავახიშვილმა (2455) და ნინო ხურციძემ (2428) მოახერხეს, თუმცა, საწყის პარტიებში წარმატებას ვერც ერთმა მიაღწია.**

ჯავახიშვილი თეთრი ფიგურებით უკრაინელ კატერინა ლაჰნოს (2553) დაუპირისპირდა და უკვე 26-ე სვლაზე ყაიმი გააფორმა, ხოლო ხურციძე შავებით ჩინელ ქსუე ჟაოსთან (2565) 43-ე სვლაზე დამარცხდა. დღეს განმეორებითი პარტიები შედგება, საჭიროების შემთხვევაში კი, გამარჯვებულთა ვინაობას ტაიბრეიკები გაარკვევს.

**მანუჩარ გიორგაძე**

კალათბურთი

# ეს ჩვენი ჯგუფია



**ევროჩელენჯის ჯგუფური რაუნდის მეორე ტურში თბილისის „არმია“, როგორც უკვე გაუწყეთ, მეორედ დამარცხდა, ამჯერად — ბელგიის „ანტვერპენთან“ — 71:80.**

ამავე კვარტეტის მეორე მატჩი მოგვიანებით გერმანიის ყოფილ დედაქალაქ ბონში გაიმართა, სადაც იქაურმა „ტელეკომმა“ მძაფრ ბრძოლაში სძლია ისრაელის ქალაქ ჰოლონის „ჰაპოელს“ 85:78 და ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

„ტელეკომი“ — 2, „ჰაპოელი“, „ანტვერპენი“ — 1-1, „არმია“ — 0 მოგება.

**I წრის ფინიშზე 20 ნოემბერს ითამაშებენ:** „ტელეკომი“ — „არმია“, „ჰაპოელი“ — „ანტვერპენი“.

**ვიტალი ჯაფარიძე**

წლის გოლი

# რჩეულთა ათეული

**ამ დღეებში ფიფამ დაასახელა ის ათეული, საიდანაც სეზონის ბოლოს წლის საუკეთესო გოლის ავტორი უკვე მეოთხედ შეირჩევა და ლეგენდარული ფერენც პუშკაშის სახელობის პრიზით დაჯილდოვდება.**

ესენი არიან **აგიემანგ ბადუ** (განის ეროვნული ნაკრები), **ჰატემ ბენ არფა** („ნიუკასლი“), **რადამელ ფალკაო** („ატლეტიკო“), **ერიკ ასლი** („ტორონტო“), **ოლივია ხიმენესი** (მექსიკის ქალთა ნაკრები), **გასტონ მეალა** („ნასიონალ პოტოსი“), **ლიონელ მესი** (არგენტინის ეროვნული ნაკრები), **ნეიმარი** („სანტოსი“), **მუსა სოუ** (ფენერბახჩე“) და **მიროსლავ სტოხი** (ფენერბახჩე“).

დავძენთ, რომ სამი ნომინანტი გულშემატკივართა ხმის მიცემის შედეგად 29 ნოემბერს გამოვლინდება, რის შემდეგაც ქომაგები უკვე ლაურეატს დაასახელებენ.

**წინა სამ კონკურსში უპირატესობა კრიშტიანუ რონალდუს, ჰამით ალტინტორსა და ნეიმარს მიენიჭათ.**

**როსტომ რაჭველიშვილი**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## სხეულის ნიშნები

# ყური მიუგდეთ საკუთარ ორგანიზმს



**სიჭრელე თვალებში, სლოკინი, შუილი და წუილი ყურებში, კრუნჩხვები... რამდენად სახიფათოა და, რაც მთავარია, რის მანიშნებელია ეს მეტად უსიამო სიმპტომები?**

ერთ-ერთი ყველაზე ხშირი ნიშანი, რომელსაც ორგანიზმი გვიგზავნის — ესაა აჩქარებული გულისცემა. ამასთან, შემთხვევათა უმრავლესობაში, **იგი რაიმე სნეულების გამო კი არა, არამედ ცხოვრების მოუწესრიგებლობის, სტრესებისა და ხანგრძლივი დატვირთვების გამო ხდება ხოლმე. კარდიოლოგებს მიაჩნიათ, რომ გულის მუშაობაში შეფერხებებს დროდადრო ჯანსაღ ადამიანთა 80 პროცენტი განიცდის.** ასაკის მატებასთან ერთად ეს შეფერხებები შესაძლოა უფრო გახშირდეს, რაც გულის კუნთის ბუნებრივ დაბერებას უკავშირდება.

ამიტომაც ასეთ დროს სასწრაფოდ უნდა მიმართოთ ექიმს! თუკი შეფერხებები გულის მუშაობაში მუდმივად გაქვთ, აუცილებლად სპეციალისტს უნდა მიაკითხოთ. გასინჯვისა და დამატებითი გამოკვლევების ჩატარების შემდეგ კარდიოლოგი დაგეხმარებათ, დაადგინოთ, თუ რა მდგომარეობაში გაქვთ გულის სისხლძარღვები, ფარისებრი ჯირკვალი და სხვ.

ზოგადად, **სასურველია, ხმამაღალ ბგერებს ერიდოთ.** ყურებში ხმაური და წუილი შეიძლება ზედმეტად ხმამაღალი მუსიკის მოსმენის შემდეგ გაგიჩნდეთ. ამის მიზეზია ეგრეთ წოდებული აკუსტიკური ტრავმა — სმენის ორგანოთა მუშაობის დროებითი დარღვევა. ამ უსიამო სიმპტომის სხვა მიზეზებს შორის შეიძლება დავასახელოთ **ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა ან თვითმფრინავით ხანგრძლივი ფრენა,** რადგან წნევის ცვალებადობა ყურის აპკის ძლიერ რხევას იწვევს. ამ მიზეზით წარმოშობილი შუილი ყურებში, როგორც წესი, ექიმთან მისვლას არ საჭიროებს და, ჩვეულებრივ, რამდენიმე საათში თავისით გადის.

მაგრამ **ექიმს სასწრაფოდ უნდა მიმართოთ, თუკი შუილი ყურებში ორ დღეზე მეტ ხანს გრძელდება და თავბრუსხვევა, სმენის დაქვეითება, ტკივილი ახლავს.** ამ დროს შუა ან შიდა ყურის პათოლოგიის გამოსარიცხავად აუცილებლად უნდა მიმართოთ ოტოლარინგოლოგს. **ხოლო თუ ყურში ბზუილს თვალწინ წერტილების ციმციმი ახლავს, აუცილებლად მიმართეთ თერაპევტს და არტერიული წნევა შეიმოწმოთ.** საქმე ისაა, რომ ასეთი მდგომარეობა ხშირად არტერიული ჰიპერტონიის დროს წარმოიშვება.

ხშირია, როცა თითქოს ყოველგვარი მიზეზის გამო ფეხები გიბუჟდებათ. ამ შემთხვევაში მუშაობისას ხშირ-ხშირად შეისვენეთ ხოლმე. ყველას გქონიათ, ალბათ, უსიამო შეგრძნება, რომელიც ხელში ან ფეხში წარმოგეშვებათ, როცა დიდ ხანს მოუხერხებლად ზიხართ... საბედნიეროდ, დაბუჟება მალევე გადის, როგორც სისხლის ნორმალური მიმოქცევა აღდგება ხოლმე. **საიმისოდ, რომ სისხლის ნორმალური დინება შეუფერხებელი იყოს, სკამიდან ხშირ-ხშირად ადექით ხოლმე, გაიარ-გამოიარეთ, მცირედი ვარჯიში გააკეთეთ, რაც, გვერწმუნეთ, შვებას მოგცემთ!**

ექიმს სასწრაფოდ მაშინ უნდა მიმართოთ, თუკი ხშირი დაბუჟება რაიმე გასაგები მიზეზის გარეშე გაქვთ, მაშინ ნევროლოგს უნდა მიაშუროთ. **ეს მდგომარეობა შესაძლოა ხერხემლის წელის სარტყლის ოსტეოქონდროზის, მალებსშორისი დისკოს თიაქარის გართულებით იყოს გამოწვეული.** თუკი რენტგენოგრაფია პათოლოგიურ ცვლილებებს არ აჩვენებს, მაშინ, შაქრის დიაბეტის გამოსარიცხავად, ენდოკრინოლოგს უნდა მიმართოთ.

ხშირია ასევე შემთხვევები, როცა თვალების წინ წერტილები „დახტიან". ამ დროს თვალები აუცილებლად უნდა დაასვენოთ. თუკი წერტილები უძილო ღამის ან კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ გაგიჩნდათ, ამის თაობაზე აღელვება არ ღირს. ამ დროს წერტილების გაჩენის მიზეზია შუშისებრი სხეულის ცვლილებები — ეს ჟელესებრი შიგთავსის მქონე თვალის ერთგვარი „საკანია". **ასაკის მატებასთან ერთად მასში პატარ-პატარა სიმკვრივეები წარმოიშვება, რომლებიც თვალის ბროლის უკან მოძრაობისას ბადურაზე ჩრდილებს იძლევიან, სადაც გამოსახულება წარმოიქმნება. ამ დროს ჩვენ სუბიექტურად მუქ ლაქებს ვხედავთ, რომლებიც თვალის მოძრაობას მიყვებიან. თვალებწინ წერტილები შესაძლოა ძლიერი დაძაბულობის შემდეგაც გაგიჩნდეთ — მაგალითად მას შემდეგ, რაც სიმძიმე ასწიეთ, რაც შიდა თავის ქალისა და თვალის შიდა წნევებს უკავშირდება.**

ექიმს სასწრაფოდ უნდა მიაკითხოთ მაშინ, თუკი თვალწინ წერტილები ხშირად გიჩნდებათ — მაშინ აუცილებლად ოფთალმოლოგს უნდა მიმართოთ. **ასე შეიძლება გამოვლინდეს ბადურის განშრევება, რის მკურნალობის დაწყება დროულადაა საჭირო. თუკი თვალწინ წერტილებს ყურებში შუილი ახლავს, ეს, შესაძლოა, თავის ქალის შიდა პათოლოგიის ნიშანი იყოს.** ექიმს ასევე იმ შემთხვევაშიც უნდა მიმართოთ, თუკი თვალწინ წერტილები თავის ან თვალის ტრავმის შემდეგ წარმოგეშვებათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად ისეც ხდება, რომ ფეხის კუნთების კრუნჩხვა მოგვდის, რის თავიდან ასარიდებლად საჭიროა ვიტამინების დეფიციტის აღმოფხვრა. **კრუნჩხვა — ესაა კუნთის მკვეთრი შეკუმშვა, რის მიზეზი შეიძლება იყოს ქრონიკული დაღლილობა, უძილობა, ჭარბი ფიზიკური დატვირთვა და დიდ ხანს მოუხერხებელ პოზაში ყოფნა. მაგრამ მისი ყველაზე გავრცელებული მიზეზია ორგანიზმში მაგნიუმის, კალციუმის და D ვიტამინის ნაკლებობაა. ამ დეფიციტის აღმოსაფხვრელად რაციონში უფრო მეტად შეიტანეთ რძის პროდუქტები, ყველი, ნიგოზი, წიწიბურა, ლობიო, მუხუდო, ჭარხალი, ქიშმიში და კურაგა.**

ექიმს კი აუცილებლად უნდა მიმართოთ იმ შემთხვევაში, თუკი კრუნჩხვები გამუდმებით გაქვთ, რის მიზეზი შეიძლება სისხლძარღვთა სხვადასხვა სნეულება იყოს — ათეროსკლეროზი, ენდარტერიტი, ქრონიკული ვენოზური უკმარისობა.

ერთობ უხერხულია ხოლმე, როცა საზოგადოებაში ყოფნისას ვიღაცას სლოკინი აუტყდება ხოლმე. ამ დროს ექიმები გვირჩევენ სხვა რამეებზე ყურადღების გადართვას. **სლოკინის ყველაზე გავრცელებული მიზეზებია სტრესები, მოუწესრიგებელი კვება, ზედმეტი საკვების, ასევე სასმელის მიღება, შეცივება.** ასეთი სლოკინი ჯანმრთელობისთვის საშიში არ არის. მის გასავლელად საჭიროა ყურადღების გადართვა, რაიმე სხვა საქმით დაკავება. მაგალითად, **პატარ-პატარა ყლუპებით დალიეთ თბილი ჩაი, შეჭამეთ ხმელი პურის პატარა ნაჭერი, ჩაიტარეთ სუნთქვის ტანვარჯიში.**

ექიმს კი მაშინ მიაკითხეთ, თუკი სლოკინი სამ საათზე მეტ ხანს გაგიგრძელდათ, ანდა მისი შეტევა კვირაში რამდენჯერმე გემართებათ — მაშინ აუცილებლად დაგჭირდებათ თერაპევტის ან გასტროენტეროლოგის კონსულტაცია. საქმე ისაა, რომ ხშირი, ხანგრძლივი სლოკინი, შესაძლოა, კუჭ-ნაწლავთა მრავალი დაავადების გამოვლენის სიმპტომი იყოს.

**ნინო ალექსანდრია**

## „სად წაიყვან სადაურსა"

### კრებულიდან „100 ქართველი უცხოეთში"

# ვახტანგ ჯობაძე (1917-2007)



**აშშ-ში მოღვაწე, ქართული ხელოვნების ისტორიის მკვლევარი, კალიფორნიის შტატის უნივერსიტეტის პროფესორი, 1966 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი.**

საქართველოში, თბილისშია დაბადებული, სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. II მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდნილი, შემდგომ გერმანიაში დარჩა და გეტინგენისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტებში სწავლობდა. 1950-იან წლებში აშშ-ში გადასული, იუტისა და კალიფორნიის უნივერსიტეტებში მუშაობდა.

ვახტანგ ჯობაძე ძირითადად იკვლევდა კავკასიურ ხუროთმოძღვრებას, კერძოდ, შუა საუკუნეების ქართულს; გახლდათ არაერთი არქეოლოგიური ექსპედიციის ორგანიზატორი თუ მონაწილე, ანტიოქიის მიდამოებში ქართველ მონაზონთა მოღვაწეობის ისტორიის საფუძვლიანად შემსწავლელი, შავ მთაზე ძელი ჭეშმარიტის ქართული მონასტრის გამწმენდი და გამომკვლევი. იმის სახელთანავეა დაკავშირებული კვიპროსში ღალიას მონასტრის გამოვლენა და პირველი დაზვერვითი სამუშაოები.

1967-1983 წლების ექსპედიციებში გაწეული შრომის შედეგები მან შეაჯამა და კაპიტალურ მონოგრაფიად ინგლისურ ენაზე გამოსცა 1992 წელს (ქართულადაც დაისტამბა თბილისში, 2006-ში).

ღრმად მიმხცოვნებული მეცნიერი აშშ-ში აღესრულა.

**მოამზადა**
**თამაზ ებანოიძე**

## მონატრება

# ეთერ ამაღლობელი-ერიაშვილი



შეგვინდე, დედა და ბებო, შეგვინდე იმისთვის, შენ რომ დუმხარ და შენს ნაცვლად კითხვებს თვითონ ვპასუხობთ... გაფიქრებაც კი გვიტოკავს სხეულს, შენი სახება თვალწინ გვიდგას და სანამ ცოცხლები ვართ, არ მიგვატოვებს. მოდი, სიზმარში შევხვდეთ, და მერე უთქმელ სათქმელსაც ათასჯერ გეტყვით...

დღეები გადის, მაგრამ ტკივილი არ ნელდება, მონატრება ძლიერდება, შენ კი აღარ ხარ.... მონატრებას შენი სახელი დავარქვით — „დედა".

თბილი, ტკბილი, სათნო. ყველასთვის შეუდარებელი ბებო... ბებო — ვის ჭაღარასაც მუდამ მოვეფერებით, ვისაც დავუძახებთ „ბ ე ბ ო ს". თურმე რა ძნელია უშენობა.

მალე შენს სულთან განშორების მეორმოცე დღეც დადგება და გზას გაიკვალავ უფლისეულ ნათელში.

ოჰ, რა ძნელი ყოფილა განშორება.

**შვილები — ნარგიზი, ივანე და ნოდარ ერიაშვილები;**
**შვილიშვილები — მაკა, მამუკა და მარია;**
**შვილთაშვილები — დავითი, მილენა და ილიანა**

**საქართველოს კულტურის ფონდის თანამშრომლები გულისტკივილით იუწყებიან თავიანთივე თანამშრომლის მერი ცომაიას დედის**

**თამარ მაღლაკელიძე-ცომაიას**

**გარდაცვალებას, თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

## ალიან-ჩალიანი

### ლილოში ხანძრის შედეგად 27 მაღაზია დაიწვა

**ლილოს ბაზრობის ტერიტორიაზე სავაჭრო ობიექტები 600-700 კვ.მეტრ ფართობზეა დამწვარი.**

**ამის შესახებ ისან-სამგორის საგანგებო სიტუაციათა განყოფილების ხელმძღვანელმა ტიტე ჭიჭონაიამ განაცხადა. მისი თქმით, დაახლოებით, 27 მაღაზია დაიწვა. ხანძრის სავარაუდო მიზეზი ელექტროსადენების გაუმართაობაა. ზარალის ოდენობა დგინდება.**

**როგორც მაღაზიების მფლობელები აცხადებენ, ზარალის ოდენობა დიდია. დაზარალებულების გარკვეულ ნაწილს, სავარაუდოდ, აქვს დაზღვევა. დამწვარი მაღაზიების მფლობელები აცხადებენ, რომ მაღაზიების ტერიტორიაზე სახანძრო მანქანებს შესვლა გაუჭირდათ სივიწროვის გამო და ამან ხანძრის ჩაქრობა გარკვეულწილად შეაფერხა.**

**„ლილო მოლის" ერთადერთი მზღვეველი სადაზღვევო კომპანია „უნისონია". ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" სადაზღვევო კომპანიიდან აცნობეს.**

**კომპანიის ინფორმაციით, შესაბამისად, „ლილო მოლში" მომხდარი ხანძრის შემთხვევაში, ზარალის ოდენობის დადგენისა და სადაზღვევო შემთხვევად იდენტიფიცირების სამუშაოებს სრულ კოორდინაციას „უნისონის" ზარალების დეპარტამენტის თანამშრომლები უწევენ და სხვა სადაზღვევო ორგანიზაცია ამ პროცესში არ მონაწილეობს.**

### ავტოავარია კახეთის გზატკეცილზე

**კახეთის გზატკეცილზე, ლილოს დასახლებასთან ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.**

**ერთმანეთს „ფოლკსვაგენისა" და „მერსედესის" მარკის მსუბუქი ავტომობილები შეეჯახნენ. მძიმედ დაშავდა „ფოლკსვაგენის" მარკის ავტომანქანის მძღოლი, რომელიც სასწრაფო დახმარების ბრიგადამ სტაციონარში გადაიყვანა. ასევე, სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს მანქანაშივე მყოფ მის მეუღლეს.**

**ინტერპრესნიუსი**

## განცხადება

პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზა" პოლიტიკური საბჭოს 15.11.2012 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე იწვევს რიგგარეშე ყრილობას, რომელიც გაიმართება 2012 წლის 27 დეკემბერს, კინოს სახლის დარბაზში, 15 საათზე.

დღის წესრიგის თანახმად ყრილობა აირჩევს პარტიის თავმჯდომარეს და ცვლილებებს განახორციელებს პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობაში.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დაიჯესტი

### ორი ახალი ელემენტი



**ოქტომბრის მიწურულს მოსკოვში ოფიციალურად მიანიჭეს სახელები ორ ზემძიმე ელემენტს — 114-ესა და 116-ეს, რომლებსაც მანამდე საკუთარი სახელები არ ჰქონდათ.**

ალსანიშნავია, რომ ბუნებაში ეს ელემენტები არ არსებობს, მეცნიერებმა ისინი სინთეზის მეშვეობით მიიღეს, მაგალითად, კალციუმის იონების, ანდა კიურიუმის იზოტოპების ბირთვების პლუტონიუმის იზოტოპის ბირთვებისთვის „დაშენით“. ძირითადი ექსპერიმენტები 1998-2000 წლებში დუნბაში ჩაატარეს გიორგი ფლეროვის სახელობის ბირთვულ რეაქციათა ლაბორატორიაში, დახმარებას კი ამერიკის ლივერმორის ეროვნული ლაბორატორიის ფიზიკოსები უწევდნენ. ორივე კოლექტივის დამსახურების ალსანიშნავად თეორიული და გამოყენებითი ქიმიის საერთაშორისო კავშირმა ერთ ელემენტს ფლეროვეუმი (FI), მეორეს კი ლივერმორი (LV) დაარქვა. პირველი მათგანი, სავარაუდოდ, ტყვიის ზემძიმე ანალოგია, მეორეს კი — პოლონიუმის, ისინი ისე სწრაფად იშლებიან, რომ მეცნიერები მათი თვისებების ხეირიანად შესწავლას ვერ ახერხებენ.

### ფულის დაზგები „თავისას აწვებიან“



**გავრცელებული ხმებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი დოლარების გამალებული ბეჭდვა მიმდინარეობს და რომ მალე ეს ვალუტა გაიაფდება.**

**ამერიკის ფედერალური რეზერვის სამსახური „ხარისხობრივი შერბილების“ რიგით მესამე პროგრამის განხორციელებას შეუდგა, რომლის შესაბამისად ეკონომიკის პრობლემებს დამატებითი ფულადი ინიექციების მეშვეობით გადაჭრიან.**

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პროგრამა აუცილებლად იმოქმედებს პრეზიდენტ ბარაკ ობამას პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე. ამასთან, უახლოეს თვეებში მოსალოდნელია ოქროს მიმართ დოლარის შესუსტება. რაც შეეხება ევროს, მის მიმართ ამერიკული ვალუტის შესუსტება იმდენად სავარაუდო არ არის, რადგან ფულის საბეჭდი დაზგა ევროპაშიც მთელი დატვირთვით მუშაობს. ამავე დროს, ხაზს უსვამენ იმასაც, რომ ამერიკის ეკონომიკაში დამატებითი ფულადი ინიექციების შემდეგ ნავთობის ფასი მსოფლიო ბაზარზე გაიზრდება.

### ლუდი ხომ არ დაგველია, ძვირფასო?

**ხშირად გაგიგიათ, ალბათ, რომ ლუდის მოყვარულებს პირველსავე პაემანზე, ჩვეულებრივ, სექსი აქვთ ხოლმე.**



მკვლევარებმა გადაწყვიტეს ამ მტკიცების სამართლიანობის შემოწმება, რისთვისაც პორტალი okcupid-ის რამდენიმე მილიონი მომხმარებელი (!) გამოკითხეს. შედეგი მართლაც გასაოცარი გამოდგა: აღმოჩნდა, რომ ლუდის მოყვარულთა აბსოლუტურ უმრავლესობას პირველსავე პაემანზე სექსი თითქმის ყოველთვის აქვს!

ამ ცნობის კომენტირებისას გერონტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა ელენე ტერიოშინამ, კერძოდ, განაცხადა:

— ლუდი აფროდიზიაკს არ წარმოადგენს, მას არც სქესობრივი სურვილის აღძვრა, არც ლტოლვის გაძლიერება შეუძლია. როგორც ჩანს, ამის ახსნა უფრო იმ გარემოებითაა მართებული, რომ ლუდი დემოკრატიული სასმელია, მას არცთუ მომთხოვნი ხალხი ანიჭებს უპირატესობას. როგორც ჩანს, პარტნიორის არჩევის დროსაც ისინი ნაკლებად ჭირვეულობენ, — ასეთია დოქტორ ტერიოშინის დასკვნა.

### ბრიტნი სპირსის აბაზანები



**თანამედროვე შოუ-ბიზნესის ერთ-ერთი ვარსკვლავი ბრიტნი სპირსი თავის გარეგნობაზე ყოველთვიურად 100 ათას გირვანქა სტერლინგზე მეტს ხარჯავს.**

ამ ფულად მას პილატესის კურსებს უტარებენ, მსოფლიოს საუკეთესო დიეტოლოგები და შეფმზარეულები საგანგებოდ დიეტებს უდგენენ, დღეში ორჯერ მასაჟს იკეთებს, ხოლო სამჯერ ათასი ბოთლი „ევიანის“ მინერალური წყლის აბაზანას იღებს, სადაც კი ვარდის ფურცლებს უყრიან.

ყველაფერი ეს მომღერალს, თურმე, დეკემბერში დანიშნულ მის ჯეისონ თრევიკთან ქორწილის სამზადისის პროგრამაში შედის. ქორწილი ჰავაის პლაჟზე გაიმართება და ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რამდენნიშნა ანგარიშს წარუდგენენ ახლადდაქორწინებულებს ამ ზეიმის მომწყობნი.

### „საზამთროები“ კუნთების ნაცვლად



**რა უნდა ქნას კაცმა, რომელსაც ცოლი გამუდმებით ტვინს უბურღავს ღიპისა და მოდუნებული კუნთების გამო?**

რა და, როგორც ასეთ ხალხს ჩვენი კოლეგები ურჩევენ, ეგვიპტელი მუსტაფა ისმაილის ამბავი უნდა უამბოს: ეს 24 წლის ახალგაზრდა, გინესის რეკორდების წიგნის ცნობით, მსოფლიოში ყველაზე დიდი ბიცეპსების პატრონია — მათი გარშემოწერილობა 74,28 სანტიმეტრია. ცოტა ხნის წინათ მუსტაფა საცხოვრებლად ამერიკაში გადაბარგდა და ახლა იქ დიდად პოპულარულიცაა. თუმცა კი... დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ქალიშვილს როდი გაუხარდება, რომ მის რჩეულს ბიცეპსების ნაცვლად ხელებზე პატარა საზამთროები ჰკიდია! ვფიქრობთ, რომ ბევრი მათგანი თავის „ბუთხუზას“ ტახტზეც წამოაწვენს, ხელში ტელევიზორის პულტსაც მისცემს და, შესაძლოა, ჩაციებულ ლუდსაც მიართმევს.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### რა დააბარა ბაჩო ახალაიამ ციხიდან ლალი მოროშკინას თეა თუთბერიძესთან?!

— ბაჩანა ახალაია გაღიზიანებულია თუთბერიძის აქტიურობით, ის ითხოვს, თუთბერიძე დაუყოვნებლივ ჩამოსცილდეს პროცესებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი რადიკალურ ზომებს მიმართავს. პრინციპში, თუთბერიძე ბაჩანას კი არა, სრულიად საქართველოს უნდა ჩამოსცილდეს.

„ალია“

### სააკაშვილი ქართველ ელჩებს თავდებში უდგება

ორხელისუფლებიანობა ღიად გამოჩნდა მაშინ, როდესაც ახალ პრემიერ-მინისტრს პირველი ვიზიტის დროს შესაბამისი ელჩი არ დახვდა. რატომ თქვა უარი ევროკავშირში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა, ბელგიის სამეფოში ელჩმა სალომე სამადაშვილმა ელჩის მოვალეობაზე? მხოლოდ იმიტომ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის დანიშნულია?

როგორც ცნობილია, გადადგომას აპირებენ გაეროში საქართველოს ელჩი კახა ლომაია, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს წარმომადგენელი თემურ იაკობაშვილი, იტალიაში საქართველოს ელჩი კოტე გაბაშვილი და სხვები. პრეზიდენტი ამ საკითხის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა და ახალ მთავრობას ურჩია, რომ უცხოეთში აკრედიტებულ ქართველ ელჩებს ნუ გაათავისუფლებს მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი წინა ხელისუფლების დანიშნულები არიან.

„ახალი თაობა“

### ...სტუდენტების გადასახადს „ბაზარი“ დაარეგულირებს

გაძვირდება თუ არა სტუდენტებისთვის სწავლის გადასახადი — ამ შეკითხვაზე გუშინ მეცნიერებისა და განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა კონკრეტული და გასაგები პასუხი გასცა. ის აცხადებს, რომ უნივერსიტეტებს დაფინანსება გაუორმაგდებათ, ლექტორებს ხელფასები მოემატებათ, მაგრამ უმაღლეს სასწავლებლებს ავტონომია აქვთ და სწავლის საფასურის დარეგულირებაში სამინისტრო ვერ ჩაერევა — ფასებს „ბაზარი“ დაარეგულირებს.

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი

**ცხელი კენიის სივრცეებში სპილოთა თამაშები შეყვარებული ადამიანების ხვევნა-კოცნას გვაგონებს. ოღონდ ეგ არის, რომ ხელების ნაცვლად აფრიკელი გოლიათები ხორთუმებს იყენებენ.**

**რეიტერის ფოტო.**



## ანეკდოტები

**ყველაზე** სასარგებლო პირუტყვი ღორია. მისი ყველაფერი შეგვიძლია გამოვიყენოთ. ხორცი — საკვებად, ტყავი — სატყავედ, ჯაგარი — ჯაგრისისთვის და სახელიც კი — ვინმეს შეურაცხყოფისთვის.

* * *

— **ძვირფასო**, იმისთვის, რომ გავალამაზოთ ჩვენი უინტერესო და ერთფეროვანი ოჯახური ცხოვრება, იქნებ ერთმანეთისთვის გვეღალატა? — ეუბნება ცოლი ქმარს.

— ეჰ, უკვე რამდენჯერ ვცადე ეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა.



— **როგორ** შეძელი შენი გოგოს დაყოლიება, რომ მას სადილის წინ ელოცა, იგი ხომ სასტიკ უარზე იყო? — ეკითხება კათოლიკე ქალი დაქალს.

— მე მას შევთავაზე ასეთი ლოცვის წაკითხვა: ღმერთო, ისე ქენი, რომ ნაჭამი ზედმეტი კალორიები არ შემერგოს.

* * *

**ადამიანის** მაიმუნისგან წარმოშობის შესახებ თავისი თეორიის დასამტკიცებლად დარვინს არ ეყო გარდამავალი პერიოდი. იგი მას წარმატებით გააკეთებდა დღეს, რადგან პირდაპირ ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს უკუპროცესი.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურამ ბოზიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com